გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 212

2023 წლის 10 ნოემბერი
ქ. გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანპორტის საგენტოს (ს/კ 418475992) 2022 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანპორტის საგენტოს (ს/კ 418475992) 2022 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანპორტის საგენტოს (ს/კ 418475992) 2022 წლის ნოემბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 34 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს“
დირექტორის მ/შ ბატონ, გიორგი ლომიძეს, ამავე სააგენტოს
მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის
უფროსის, მამუკა ხიზანიშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი (სამსახურის წლიური ანგარიში)

ბატონო გიორგი,

„გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს“ მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურში 2023 წლის ოქტომბრის მდგომარეობით მუშაობს 41 თანამშრომელი: სამსახურის უფროსი, უფროსი მენეჯერი (სამსახურის უფროსის მოადგილე), მგზავრთა უსაფრთხოების მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების უფროსი მენეჯერი (სამედიცინო კომისიის მუდმივი წევრი), შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, საინფორმაციო უზრუნველყოფის სპეციალისტი, მგზავრთა უსაფრთხოების 3 კოორდინატორი, მგზავრთა უსაფრთხოების 31 კონტროლიორი, 1 სტაჟიორ-კონტროლიორი, 3 ექთანი.

წარმოგიდგენთ, ტრანსპორტის სააგენტოს დებულებით, სტრუქტურული თანამიმდევრობით, სამსახურის თანამშრომლებზე დაკისრებული უფლება-მოვალეობის შესაბამისად, შესრულებულ სამუშაოს ანგარიშს, 2022წლის ნოემბრიდან - 2023 წლის ოქტომბრის ჩათვლით.

სამსახურის უფროსი:

ახორციელებდა სამსახურის საერთო ხელმძღვანელობას, წარმართავდა მის საქმიანობას, უზრუნველყოფდა და აკონტროლებდა სამსახურის ფუნქციების შესრულებას. ანაწილებდა ფუნქციურ მოვალეობებს თანამშრომლებს შორის, აძლევდა მათ მითითებებსა და დავალებებს. ახორციელებდა კონტროლს მათ მიერ სამსახურეობრივ მოვალეობათა შესრულებასა და შრომის დისციპლინის დაცვაზე. სააგენტოს დირექტორს წარუდგენდა წინადადებებს სამსახურის მუშაობის სრულყოფის, სამსახურის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის ოპტიმიზაციის შესახებ. ასრულებდა სააგენტოს დირექტორის ცალკეულ დავალებებს.

უფროსი მენეჯერი (სამსახურის უფროსის მოადგილე):

მონაწილეობას იღებდა სააგენტოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაწილეობით მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებაში. (**„ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მონაწილეობით მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს გასატარებელი ღონისძიებებისა და დოკუმენტაციის წარმოების წესი“**)

კოორდინაციას უწევდა მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მუშაობას; ახორციელებდა კონტროლს მათ მიერ სამსახურეობრივ მოვალეობათა შესრულებასა და შრომის დისციპლინის დაცვაზე.

პერმანენტულად უწევდა ზედამხედველობას მონიტორინგზე გამსვლელი ჯგუფის საქმიანობას, პერიოდულად ამოწმებდა, უფლებამოსილი პირების მიერ ავტოტრანსპორტის ხაზზე გაშვების და ავტობაზაში მიღების პროცესს და უზრუნველყოფდა ავტოტრანსპორტის ვიზუალური (მათ შორის სანიტარული, ჰიგიენური) მდგომარეობის შემოწმებას.

სამსახურის უფროსს წარუდგენდა წინადადებებს სამსახურის მუშაობის სრულყოფის, სამუშაო გრაფიკის და სამუშაო პროცესის ოპტიმიზაციის შესახებ.

ასრულებდა სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს.

მგზავრთა უსაფრთხოების მენეჯერი:

ხელმძღვანელობდა კოორდინატორების და კონტროლიორების სამუშაო პროცესის მართვას. უზრუნველყოფდა მგზავრთა გაბილეთიანების კონტროლს. აწარმოებდა უბილეთო მგზავრების მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლით შედგენილი საჯარიმო ქვითრების (ოქმების) აღრიცხვის კონტროლს.

აწარმოებდა კონტროლს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზასთან კავშირის, ელექტრონული ბაზიდან გამოთხოვილი ინფორმაციის აღრიცხვასა/სტატისტიკის და აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ელექტრონულ კავშირის უზრუნველყოფაზე.

აწარმოებდა კონტროლს ტრანსპორტის სააგენტოს, დაჯარიმებულ მგზავრთა ელექტრონულ ბაზაში საჯარიმო ოქმების აღრიცხვასა და სტატისტიკის უზრუნველყოფაზე.

გრაფიკის მიხედვით ხელმძღვანელობდა მძღოლების ყოველდღიურ სამედიცინო შემოწმებას. მონაწილეობდა 2023 წლის მონიტორინგის გეგმა-გრაფიკის მიხედვით დაგეგმილ ღონისძიებებში: ღამის საათებში ავტოპარკის ტერიტორიის დათვალიერება, მორიგე ტექნიკოსების შემოწმება, ავტობუსების რეცხვისა და ავტობაზაში სააგენტოს მფლობელობაში არსებული ავტოტრანსპორტის ვიზუალური (მათ შორის სანიტარული-ჰიგიენური) მდგომარეობის შემოწმება. - სამარშრუტო ხაზების მონიტორინგი (ავტოტრანსპორტში, ხაზზე მომუშავე მძღოლების და კონტროლიორების მიერ შესაბამისი წესებისა და ინსტრუქციების შესრულება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა).

კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდა მძღოლებისა და კონტროლიორების უსაფრთხო მუშაობას.

უზრუნველყოფდა სტაჟიორ-კონტროლიორების ტრენინგს. მისი ზედამხედველობით 2022 წლის ნოემბრიდან - 2023 წლის ოქტომბრის ჩათვლით, სტაჟირება გაიარა თორმეტმა თანამშრომელმა, გამოვლენილი იქნა სტაჟიორ-კონტროლიორების და კონტროლიორების 6 დისციპლინარული გადაცდომა, რის გამოც 3 სტაჟიორს არ გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულება, 3 კონტროლიორს დაედო დისციპლინარული სახდელი. გამოვლენილი იქნა კოორდინატორის დისციპლინარული დარღვევა, რაც მოხდა განმეორებით და დაქვეითებული იქნა კონტროლიორის პოზიციაზე. კოორდინატორის და კონტროლიორის ინფორმაციის საფუძველზე გამოვლენილი იქნა მძღოლების 2 დისციპლინარული გადაცდომა, რაც გადაეგზავნა დისციპლინარულ კომისიას.

ასრულებდა სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს.

შრომის უსაფრთხოების უფროსი მენეჯერი, (სამედიცინო კომისიის მუდმივი წევრი):

უზრუნველყოფდა სააგენტოში შრომის უსაფრთხოების, ტექნიკური უსაფრთხოების და ჯამრთელობის დაცვის პოლიტიკის გატარებას/დაგეგმვას, განხორციელებას, მართვას და კონტროლს.

უზრუნველყოფდა სააგენტოს ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნორმების შესრულებასა და კონტროლს საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ"(2019 წლის 19 თებერვლის N4283-II) შესაბამისად.

მონაწილეობდა 2023 წლის მონიტორინგის გეგმა-გრაფიკის მიხედვით დაგეგმილ ღონისძიებებში: ღამის საათებში ავტოპარკის ტერიტორიის დათვალიერება, მორიგე ტექნიკოსების შემოწმება, ავტობუსების რეცხვისა და ავტობაზაში სააგენტოს მფლობელობაში არსებული ავტოტრანსპორტის ვიზუალური (მათ შორის სანიტარული-ჰიგიენური) მდგომარეობის შემოწმება. - სამარშრუტო ხაზების მონიტორინგი (ავტოტრანსპორტში, ხაზზე მომუშავე მძღოლების და კონტროლიორების მიერ შესაბამისი წესებისა და ინსტრუქციების შესრულება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა).

კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდა მძღოლებისა და კონტროლიორების უსაფრთხო მუშაობას.

გრაფიკის მიხედვით ხელმძღვანელობდა მძღოლების ყოველდღიურ სამედიცინო შემოწმებას, როგორც სამედიცინო კომისიის მუდმივი წევრი წარმართავდა სამედიცინო კომისიის მუშაობას. მძღოლების ყოველდღიურ სამედიცინო შემოწმებაზე, სამედიცინო კომისიამ 2022 წლის ნოემბრიდან - 2023 წლის ოქტომბრის ჩათვლით გამოავლინა მძღოლების ალკოჰოლური თრობის 8 ფაქტი, ყველა მათგანზე შეადგა სვლაგეზზე გასვლის დარღვევის ოქმი და გადაეგზავნა დისციპლინარულ კომისიას.

შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი(2023 წელი) გეგმის მიხედვით, სააგენტოს თანამშრომლებთან ჩაატარა ტრენინგი: დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და უსაფრთხო შრომის პრინციპები/სახანძრო უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები, საევაკუაციო ღონისძიებები/ელექტრო უსაფრთხოება, საოფისე უსაფრთხოება.

უწევდა კოორდინაციას ექთნების მიერ ჩატარებულ ტრენინგს: პირველადი სამედიცინო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი, ეპიდემიის-პანდემიის პერიოდში ღონისძიებების გატარების ინსტრუქცია.

აგვისტოს თვეში შრომის უსაფრთხოების მენეჯერების რეკომენდაციით მოხდა ახალი ცეცხლმაქრების შეძენა და ავტობუსებში ძველი ცეცხლმაქრების ახლებით ჩანაცვლება

ასრულებდა სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს.

შრომის უსაფრთხოების მენეჯერი:

უზრუნველყოფდა სააგენტოში შრომის უსაფრთხოების, ტექნიკური უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის გატარებას/შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის გეგმის განხორციელებას. შრომის უსაფრთხოების უფროს მენეჯერს ეხმარებოდა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი(2023 წელი) გეგმის მიხედვით, სააგენტოს თანამშრომლებთან ტრენინგის ჩატარებაში.

უზრუნველყოფდა შრომის უსაფრთხოების ნიშნებზე, ხანძარსაწინააღმდეგო, პირველადი დახმარების საშუალებებზე და მედიკამენტებზე მუდმივ კონტროლს.

უზრუნველყოფდა სააგენტოს ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნორმების შესრულებასა და კონტროლს საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ"(2019 წლის 19 თებერვლის N4283-II) შესაბამისად.

გრაფიკის მიხედვით ხელმძღვანელობდა მძღოლების ყოველდღიურ სამედიცინო შემოწმებას. მონაწილეობდა 2023 წლის მონიტორინგის გეგმა-გრაფიკის მიხედვით დაგეგმილ ღონისძიებებში: ღამის საათებში ავტოპარკის ტერიტორიის დათვალიერება, მორიგე ტექნიკოსების შემოწმება, ავტობუსების რეცხვისა და ავტობაზაში სააგენტოს მფლობელობაში არსებული ავტოტრანსპორტის ვიზუალური (მათ შორის სანიტარული-ჰიგიენური) მდგომარეობის შემოწმება. - სამარშრუტო ხაზების მონიტორინგი (ავტოტრანსპორტში, ხაზზე მომუშავე მძღოლების და კონტროლიორების მიერ შესაბამისი წესებისა და ინსტრუქციების შესრულება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა).

კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდა მძღოლებისა და კონტროლიორების უსაფრთხო მუშაობას.

ასრულებდა სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს.

საინფორმაციო უზრუნველყოფის სპეციალისტი:

უზრუნველყოფდა მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო მხარდაჭერას.

უზრუნველყოფდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზასთან კავშირს და ელექტრონული ბაზიდან გამოთხოვილი ინფორმაციის აღრიცხვასა და სტატისტიკას, აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ელექტრონულ კავშირს.

პერმანენტულად აკონტროლებდა და პროგრამულად თვალყურს ადევნებდა კონტროლიორების „ანდროიდ პო"-ს ტერმინალით მუშაობის პროცეს, ელექტრონული საჯარიმო ოქმების სწორად შევსებასა და აღრიცხვას.

აწარმოებდა ტრანსპორტის სააგენტოს, დაჯარიმებულ მგზავრთა ელექტრონულ ბაზაში საჯარიმო ოქმების აღრიცხვასა და სტატისტიკას.

2023 წლის ნოემბრიდან - 2023 წლის ოქტომბრის ჩათვლით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4-ე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით დაჯარიმებულია 631 უბილეთო მგზავრი, გადახდილია 403 საჯარიმო ოქმი, აღსრულების ეროვნულ ბიუროზე გადაგზავნილია 178 საჯარიმო ოქმი.

2023 წლის ნოემბრიდან - 2023 წლის აგვისტოს ჩათვლით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლით (აგვისტოდან აღნიშნული მუხლით მუშაობის უფლებამოსილება გადაეცა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ ინსპექციას), სამსახურის თანამშრომლების მიერ, დამრღვევი მძღოლების მიმართ შედგენილია 77 საჯარიმო ოქმი, გადახდილია 17 საჯარიმო ოქმი, აღსრულების ეროვნულ ბიუროზე გადაგზავნილია 62 საჯარიმო ოქმი.

გრაფიკის მიხედვით ხელმძღვანელობდა მძღოლების ყოველდღიურ სამედიცინო შემოწმებას.

ასრულებდა სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს.

მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის კოორდინატორები:

გადაადგილდებოდნენ ყველა სამარშრუტო ხაზზე, აკონტროლებდნენ გრაფიკის მიხედვით დაგეგმილ, კონტროლიორების მუშაობის პროცესს. კონტროლიორის მიერ გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში სიტყვიერად აფრთხილებდნენ და აცნობებდნენ მონიტორინგის სამსახურს.

მგზავრებთან კონფლიქტურ სიტუაციაში კონტროლიორებს უწევდნენ სწრაფ დახმარებას. მუშაობის დროს ავტობუსის გრაფიკის ცვლილების შემთხვევაში (ავტობუსის დაზიანება და სხვა) კონტროლიორებს ანაწილებდნენ თავისუფალ ხაზზე.

კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდნენ წესრიგს მუნიციპალურ ავტოტრანსპორტში, ავლენდნენ უბილეთო მგზავრებს, მათ მიმართ ადგენდნენ საჯარიმო ქვითრებს (ოქმს), საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლის თანახმად,

ყურადღებას აქცევდნენ სანიტარულ და ჰიგიენურ მდგომარეობას ავტოტრანსპორტში. დარღვევების შემთხვევაში ინფორმაციას აწვდიდნენ სამსახურის ხელმძღვანელობას.

ასრულებდნენ სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს.

მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის კონტროლიორები:

მუშაობდნენ გრაფიკის მიხედვით. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდნენ წესრიგს მუნიციპალურ ავტოტრანსპორტში, ავლენდნენ უბილეთო მგზავრებს, მათ მიმართ ადგენდნენ საჯარიმო ქვითრებს (ოქმს), საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლის თანახმად, ყურადღებას აქცევდნენ სანიტარულ და ჰიგიენურ მდგომარეობას ავტოტრანსპორტში. დარღვევების შემთხვევაში ინფორმაციას აწვდიდნენ სამსახურის ხელმძღვანელობას.

სამუშაო გამოცდილების მქონე კონტროლიორები უტარებდნენ ტრენინგს სტაჟიორ-კონტროლიორის პოზიციაზე მიღებულ ახალ თანამშრომლებს.

ასრულებდნენ სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს.

მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის ექთანები:

გრაფიკის მიხედვით უზრუნველყოფდნენ მძღოლების სამედიცინო შემოწმებას, ავტოსატრანსპორტო ხაზზე გასვლამდე,

უზრუნველყოფდნენ სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას, საექთნო დოკუმენტ წარმოებას, საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებდნენ სხვა და სხვა დავალებას.

შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი(2023 წელი) გეგმის მიხედვით, სააგენტოს თანამშრომლებს ჩაუტარეს ტრენინგი: პირველადი სამედიცინო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი, ეპიდემიის-პანდემიის პერიოდში ღონისძიებების გატარების ინსტრუქცია.

ასრულებდნენ სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს.

პატივისცემით,
მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის უფროსი: მამუკა ხიზანიშვილი
თარიღი: 18 ოქტომბერი 2023 წელი

გორის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპი „ტრანსპორტის სააგენტოს“ (შემდგომში „სააგენტო“) მიერ გაწეული სამუშაოს ანგარიში (საანგარიშო პერიოდი 2022 ნოემბერი - 2023 ოქტომბერი.)

„სააგენტო“ დაფუძნებულია გორის მუნიციპალიტეტის მერი 2020 წლის 13 ივლისის (ბრძანება #3993). ბრძანებით; საიდენფიკაციო კოდი 418475992; იურიდიული მისამართია გორი შინდისის გმირების გზატკეცილი მე-2 კილომეტრი.

„სააგენტო“-ში მუშაობს 186 ადამიანი, მ.შ. 13 შტატიანი თანამშრომელია (ანგარიშის წარდგენის დღისასთვის). სააგენტო ფუქნქციონირებს საერთაშორისო კანონმდებლობის, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობის, გორის მუნიციპალიტეტის მერის დამტკიცებული წესდების, გორის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებებისა და შიდაგანაწესის შესაბამისად.

„სააგენტო“-ს ბიუჯეტს ამტკიცებს და აკონტროლებს გორის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო. სააგენტოს დირექტორს ნიშნავს გორის მუნიციპალიტეტის მერი, „სააგენტო“-ს დირექტორი ანგარიშვალდებულია გორის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წინაშე.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს პერიოდს 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ოქტომბრის ჩათვლით და წარმოდგენილია „სააგენტო“-ს სამსახურებისა და სპეციალისტების გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმით.

„სააგენტო“-ს სტრუქტურა შედგება სამი სამსახურისა და მათსი გაერთიანებული სპეციალისტებისა და მათი ფუნქციონალურად გაერთიანებული ჯგუფებისაგან (მაგ. ფინანსური მენეჯერის ჯგუფი (2 ადამიანი), სადისპეჩერო (7 ადამიანი) და ა.შ.)

„სააგენტო“-ს მთავარი სტუქტურული ქვეგანყოფილებებია:

- „ადმინიტრაციული სამსახური“
- „ექსპლუატაციის სამსახური“
- „მონიტორინგის სამსახური“

ადმინისტრაციის სამსახურის ანგარიში

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრაციის შემადგენლობაში შედიან: იურისტი, ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი, შესყიდვების მენეჯერი, საქმის წარმოების სპეციალისტი, სამეურნეო განყოფილების უფროსი, სამეურნეო განყოფილების სპეციალისტი, დამლაგებელი, მეეზოვე, გაყიდვების მენეჯერი. HR მენეჯერი, PR (ოფის მენეჯერი), ცხელი ხაზი.

ადმინისტრაციული სამსახური საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ,,საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს“ წესდების, ადმინისტრაციის დებულების და და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი

ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დირექტორი.

იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

- ადმინისტრაციის უფროსი ადმინისტრაციის სპეციალისტებთან ერთად წყვეტს შესაბამისი სამსახურების საქმიანობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს;
- დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ადმინისტრაციული სამსახურის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს, ადმინისტრაციას დაქვემდებარებული თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებებს;
- შუამდგომლობს დირექტორთან იმ სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყოფის თაობაზე, რომელიც საჭიროა ადმინისტრაციის სამსახურების ამოცანების სათანადოდ შესასრულებლად;
- დირექტორს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ ნებისმიერ საკითხზე;
- დირექტორის ბრძანების შესაბამისად, კორდინირებასა და კონტროლს უწევს ბრძანებისა და

დავალებების შესრულებას;

- ანაწილებს მოვალეობებს ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის და აძლევს მითითებებს, აუცილებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია ადმინისტრაციის კონკრეტული სპეციალისტის საქმე გადასცეს სხვა სპეციალისტს;
- უფლებამოსილია დირექტორს დასანიშნად წარუდგინოს ადმინისტრაციისა და მის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურების თანამშრომელთა კანდიდატურები;
- უფლებამოსილია დირექტორს წარუდგინოს წინადადებები ადმინისტრაციისა და მის დაქვემდებარებაში არსებული თანამშრომელთა წახალისება ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი (HR მენეჯერი)-ს ანგარიში

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრციის სამსახურში დასაქმებულია ერთი ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი (HR მენეჯერი): მისი უფლება მოვალეობები განსაზღვრულია ადმინიტრაციის სამსახურის დებულებით და სააგენტოს შინაგანაწესით, რომელიც მოიცავს : პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას, მოწესრიგებას, ელექტონული რეესტრის შექმნას, აწარმოებს შემოსული განცხადებების რეესტრს და დირექტორის მითითებით, ახდენს შესაბამის რეაგირებას, განცხადების შინაარსიდან გამომდინარე; დირექტორის მითითებით მიხედვით ახორციელებს თანამდებობრივ პოზიციებზე დანიშვნის ბრძანებებსა და ხელშეკრულებებს , ასევე გათავისუფლების, ანაზღაურებად, ანაზღაურების გარეშე და დეკრეტული შვებულების, შვებულებიდან ვადაზე ადრე გამოსვლის, მივლინების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის, ანაზღაურების ზედმეტად გაცემის, თანამდებობრივი პოზიციის შეცვლის, ხელშეკრულების შეჩერებისა და შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანებებს, 2022 წლის ნომბრიდან, 2023 წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით შესრულებულია 722 ბრძანება;

ასვე ჩართულია სააგენტოში პერსონალის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის პროცესში, აწესრიგებს საჭირო დოკუმენტაციას და ორგანიზებას უწევს სამუშაო დროის აღრიცხვას, შვებულების გრაფიკის შედგენასა და შესრულებას;
ყველა თანამშრომელს აწვდის ინფორმაციას საკადრო საკითხებზე და თანამშრომელთა თხოვნის შესაბამისად, ამზადებს ცნობებს სამუშაო ადგილისა და სახელფასო ანაზღაურების შესახებ;

2022 წლის ნოემბრის თვის მდგომარეობით ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოში დასაქმებული იყო 184 ადამიანი.
აქედან:

- 14 შტატიანი , 170 შტატგარეშე;
- ადმინისტრაციის სამსახური-25 ადამიანი
- ექსპლუატაციის სამსახური-120 ადამიანი
- მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახური-40 ადამიანი

2023 წლის ოქტომბრის თვის მდგომარეობით ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოში დასაქმებულია 186 ადამიანი.
აქედან:

- 13 შტატიანი , 173 შტატგარეშე;
- ადმინისტრაციის სამსახური -26 ადამიანი
- ექსპლუატაციის სამსახური -119 ადამიანი
- მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახური 41ადამიანი

ფინანსური მენეჯერის და ბუღალტერის ანგარიში

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრციის სამსახურში დასაქმებულია ერთი ფინანსური მენეჯერი და ორი ბუღალტერი, მათი უფლებამოვალეობანი განსაზღვრულია ადმინიტრაციის სამსახურის დებულებით და სააგენტოს შინაგანაწესით.

გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს 2022 წლის ბიუჯეტი იანვრის თვეში შეადგენდა 3 600 000 ლარს, რომელიც წლის განმავლობაში დაკორექტირდა და საბოლოოდ 3 800 000 ლარი შეადგინა. რასაც ემატება საკუთარი შემოსულობები 1 020 000 ლარი.

გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოში მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენს 184 კაცს, აქედან 14 არის შტატით მომუშავე ხოლო დანარჩენი 170 არის შტატგარეშე თანამშრომელი.

2022 წლის ნოემბრის თვიდან დეკემბრის ჩათვლით გახარჯულია 1 262 012 ლარი, აქედან:

- შტატში მყოფ თანამშრომელთა ანაზღაურება 37068 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 443211 ლარი;
- პრემია შტატიან და შტატგარეშე თანამშრომლებისთვის - 108000 ლარი;
- ოფისის ხარჯი- 52473 ლარი;
- საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი - 347731 ლარი;
- ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის და რემონტის ხარჯები - 126806 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა (ბიულეტინები) – 5674 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 139169 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 1880 ლარი

2022 წლის 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 225 254 ლარი.

საშუალოდ ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულებაა 1,97 ლარი. (ეს ინფორმაცია დათვლილია იმ მგზავრთა რაოდენობაზე რომლებიც იხდიან მგზავრობის ღირებულებას, ასევე იმ მგზავრთა ჩათვლით ვინც ისარგებლა გადაჯდომის შეღავათით. მათ რომ გადაეხადათ მაშინ, ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულება იქნებოდა 1,68 ლარი ანუ 0,29 ლარით ნაკლები.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრციის სამსახურში დასაქმებულია ერთი ფინანსური მენეჯერი და ერთი ბუღალტერი, მათი უფლებამოვალეობანი განსაზღვრულია ადმინიტრაციის სამსახურის დებულებით და სააგენტოს შინაგანაწესით.

გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 4 989 000 ლარს, რასაც ემატება საკუთარი შემოსულობები 1 100 000 ლარი.

გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოში მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენს 186 კაცს, აქედან 13 არის შტატით მომუშავე ხოლო დანარჩენი 173 არის შტატგარეშე თანამშრომელი.

2023 წლის იანვრის თვიდან სექტემბრის ჩათვლით გახარჯულია 3 639 012 ლარი, აქედან:

- შტატში მყოფ თანამშრომელთა ანაზღაურება 180173 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 1262508 ლარი;
- მივლინების ხარჯი - 1170 ლარი;

- ოფისის ხარჯი- 142483 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი - 581 ლარი;
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი - 9586 ლარი,
- საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი - 1228470 ლარი;
- ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის და რემონტის ხარჯები - 658009 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება- 57999 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა (ბიულეტინები) – 24600 ლარი;
- გადასახადები - 28261 ლარი,
- არაფინანსური აქტივები - მანქანა-დანადგარები და ინვენტარი - 42172 ლარი.

2023 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 939621 ლარი, რაც მიმდინარე წლის 9 თვის გეგმასთან 825000 ლართან შედარებით 114621 ლარითაა გადაჭარბებული.

საშუალოდ ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულებაა 1,64 ლარი. ეს ინფორმაცია დათვლილია იმ მგზავრთა რაოდენობაზე რომლებიც იხდიან მგზავრობის ღირებულებას, ასევე იმ მგზავრთა ჩათვლით ვინც ისარგებლა გადაჯდომის შეღავათით, მათ რომ გადაეხადათ მაშინ, ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულება იქნებოდა 1,39 ლარი ანუ 0,25 ლარით ნაკ

შესყიდვების სპეციალისტის ანგარიში

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრციის სამსახურში დასაქმებულია ერთი შესყიდვების სპეციალისტი მისი უფლება მოვალეობებანი განსაზღვრულია ადმინიტრაციის სამსახურის დებულებით და სააგენტოს შინაგანაწესით.

1.სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები, გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და შესყიდვის ტიპები.

გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტომ 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით გამოაცხადა 6 ელექტრონული ტენდერი, NAT ტენდერი.

1)

შესყიდვის ტიპი	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT)
განცხადების ნომერი	NAT220027102
შესყიდვის სტატუსი	ხელშეკრულება დადებულია
შემსყიდველი	გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	13.12.2022 22:12
წინადადებების მიღება იწყება	23.12.2022 00:07
წინადადებების მიღება მთავრდება	26.12.2022 16:30
დაფინანსება	2023 წლის სახსრები
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	313`764.00 GEL
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით

ლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები

ლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

50112300 - მანქანის რეცხვა და მსგავსი მომსახურებები

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1`255.00 GEL
გარანტიის ოდენობა	3`138 GEL
გარანტიის მოქმედების ვადა	160 დღე
დამატებითი ინფორმაცია	

გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ბალანსზე არსებული 30 ცალი ავტობუსის და 6 ცალი ავტომანქანის რეცხვის მომსახურების შესყიდვა.

გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ბალანსზე არსებული 30 ცალი ავტობუსის და 6 ცალი ავტომანქანის რეცხვის მომსახურების შესყიდვა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 313764 ლარი. დაფიქსირდა ორი მონაწილე, ეკონომია 66 643 ლარი, ბაზრის კვლელის ღირებულება რეალურ ფასზე მეტია. **100%** - ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი

2) გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა.

შესყიდვის ტიპი	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT) პრეისკურანტით
განცხადების ნომერი	**NAT230003541**
შესყიდვის სტატუსი	ხელშეკრულება დადებულია
შემსყიდველი	გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	16.02.2023 16:35
წინადადებების მიღება იწყება	24.02.2023 00:07
წინადადებების მიღება მთავრდება	27.02.2023 13:30
დაფინანსება	2023 წლის სახსრები
პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება	648`571.06 GEL
შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება	56`000.00 GEL
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

- 50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

- 50110000 - ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	მოცემული სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	2`594.28 GEL
გარანტიის ოდენობა	560 GEL
გარანტიის მოქმედების ვადა	160 დღე
დამატებითი ინფორმაცია	

გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა სათადარიგო ნაწილებით.

გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა სათადარიგო ნაწილებით. შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება 56000 ათასი ლარი, პრეისკურანტის ღირებულება 648`571.06. **100%** - ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

მომწოდებელდა დაფიქსირდა

პრეტენდენტი	ბოლო შეთავაზება თანხა/დრო	პირველი შეთავაზება თანხა/დრო
მეჯუდა-2015	**628`958.69** 27.02.2023 11:02	628`958.69 27.02.2023 11:02
ხათუნა ბუჯიაშვილი	**616`655.51** 24.02.2023 04:12	616`655.51 24.02.2023 04:12

3) შესყიდვის ობიექტი არის გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოსთვის უნიფორმების სახელმწიფო შესყიდვა.

შესყიდვის ტიპი	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT)
განცხადების ნომერი	**NAT230005029**
შესყიდვის სტატუსი	ხელშეკრულება დადებულია
შემსყიდველი	გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	06.03.2023 16:51
წინადადებების მიღება იწყება	13.03.2023 00:04
წინადადებების მიღება მთავრდება	15.03.2023 12:00
დაფინანსება	2023 წლის სახსრები
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	10`050.00 GEL
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

- 18200000 - გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

- 18200000 - გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	მოცემული სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 სამუშაო დღეში.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	40.00 GEL
გარანტიის ოდენობა	101 GEL
გარანტიის მოქმედების ვადა	160 დღე
დამატებითი ინფორმაცია	

შესყიდვის ობიექტი არის გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოსთვის უნიფორმების სახელმწიფო შესყიდვა.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 10050 ლარი.

მომწოდებლად დაფიქსირდა

პრეტენდენტი	ბოლო შეთავაზება თანხა/დრო	პირველი შეთავაზება თანხა/დრო
შპს თერძი	**8`602.00** 15.03.2023 10:55	8`602.00 15.03.2023 10:55

ეკონომია 1448 ლარი. დაფინანსება 100% ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

4)სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე (ავტობუსზე) ბოგდან A091 და A092 კონდიციონერის მონტაჟის მომსახურების შესყიდვა.

შესყიდვის ტიპი	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT)
განცხადების ნომერი	**NAT230009066**
შესყიდვის სტატუსი	ხელშეკრულება დადებულია
შემსყიდველი	გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	25.04.2023 13:36
წინადადებების მიღება იწყება	05.05.2023 00:02
წინადადებების მიღება მთავრდება	08.05.2023 17:30
დაფინანსება	2023 წლის სახსრები
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	30`000.00 GEL
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

- 50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

- 50110000 - ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	120.00 GEL
გარანტიის ოდენობა	300 GEL
გარანტიის მოქმედების ვადა	160 დღე
დამატებითი ინფორმაცია	

სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე (ავტობუსზე) ბოგდან A091 და A092 კონდიციონერის მონტაჟის მომსახურების შესყიდვა.

შესყიდვის სავარაუდო რირებულება 30000ათასი ლარი.

მომწოდებლად დაფიქსირდა

პრეტენდენტი	ბოლო შეთავაზება თანხა/დრო	პირველი შეთავაზება თანხა/დრო
მეჯუდა-2015	**30`000.00** 08.05.2023 11:18	30`000.00 08.05.2023 11:18

თანხა სრულად იქნა ათვისებული. **100%** - ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

5) კონტროლიორებისთვის შესყიდულ იქნა ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა

შესყიდვის ტიპი	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT)
განცხადების ნომერი	**NAT230014503**
შესყიდვის სტატუსი	ხელშეკრულება დადებულია
შემსყიდველი	გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	14.07.2023 14:37
წინადადებების მიღება იწყება	22.07.2023 00:08
წინადადებების მიღება მთავრდება	24.07.2023 12:00
დაფინანსება	2023 წლის სახსრები
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	15`500.00 GEL
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

- 31200000 - ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

- 31200000 - ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა
- 31224500 - ტერმინალები

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	62.00 GEL
გარანტიის ოდენობა	155 GEL
გარანტიის მოქმედების ვადა	160 დღე
დამატებითი ინფორმაცია	

მომწოდებლად დაფიქსირდა შპს ქართული მიკროელექტრონიკა, შესყიდვის ღირებულება 15500 ლარი, თანხა სრულად იქნა ათვისებული. **100%** - ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

6) გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ავტობუსის/საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების აღმნიშვნელი დგარის, საგზაო ნიშნის, საგზაო მონიშვნისა და უნიკალური ნომრის (სტიკერის) შესყიდვა.

შესყიდვის ტიპი	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT)
განცხადების ნომერი	**NAT230019687**
შესყიდვის სტატუსი	შერჩევა/შეფასება
შემსყიდველი	გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	28.09.2023 16:31
წინადადებების მიღება იწყება	04.10.2023 00:07
წინადადებების მიღება მთავრდება	06.10.2023 18:00
დაფინანსება	2023 წლის სახსრები
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	29`048.00 GEL
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

- 34900000 - სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

- 34900000 - სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები
- 34922100 - გზის მონიშვნა/დახაზვა
- 34928472 - საგზაო ნიშნების ბოძები
- 34992200 - საგზაო ნიშნები

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	მოცემული სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 სამუშაო დღეში.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	581.00 GEL
გარანტიის ოდენობა	290 GEL
გარანტიის მოქმედების ვადა	160 დღე
დამატებითი ინფორმაცია	

მომწოდებლად დაფიქსირდა შპს ჯიჯიერერ 19`017 ლარით, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 29`048.00, ეკონომია 10031. დაფინანსება. 100% - ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი.სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში, CMR მოდულში ატვირთულია 95 გამარტივებული ხელშეკრულება, გაფორმებულია მონეტარული ზღვრების შესაბამისად. გამარტივებული შესყიდვა, კანონით განსაზღვრული მონეტარული ზღვრების ფარგლებში, შესაძლებელია: ა) საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში 10 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი საქონლის ან მომსახურების, ხოლო სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – 20 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვისას; ბ)საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ 50000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას; გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების, აგრეთვე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში 20 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას. ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება 295085 ლარი. სახელმწიფო შესყიდვები გამარტივებულ შესყიდვას ახორციელებს კანონის ფარგლებში და ასევე ცდილობს დაიცვას ბაზარზე არსებული ალტერნატივები და სპეციფიკაციებით არ უნდა შეზღუდოს ის ალტერნატივა, რომელიც აკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებას,

ტექნიკური დავალება საჭიროა იყოს სრულყოფილი და მიმწოდებელს აძლევდეს სასურველი ხარისხის შეფასებისა და ფასის გათვლის საშუალებას. აუცილებელია ინფორმირებულობა ბაზრის ტენდენციებისა და ფასების განვითარების დინამიკის შესახებ, ვინაიდან ეს მნიშვნელოვნად ეხმარება შემსყიდველ ორგანიზაციას ოპტიმალური პირობების დადგენაში. შემსყიდველმა ორგანიზაციამ საჭიროა

მიწოდების ბაზრის კვლევის ფარგლებში გაანალიზოს პოტენციური მიმწოდებლების სპეციალიზების სფერო და შესყიდვის ობიექტები გააერთიანოს მიმწოდებელთა სპეციალიზების სფეროს გათვალისწინებით. აუცილებელია პროექტის განხორციელების დროის სწორად შერჩევა, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული როგორც შესყიდვის ობიექტის მიწოდების შესაძლებლობა, ასევე მიმწოდებლების მხრიდან შემოთავაზებული ფასები და სხვა სახელშეკრულებო პირობები. ძალიან ჭირს ინვოისების მოძიება მაგრამ ინტერნეტ მაღაზიები და გვერდები გვაძლევს საშუალებას გადავამოწმოთ საქონელის ან მომსახურების როგორც მაქსიმალური ისე მინიმალური ზღვარი, რომელიც აფიქსირებს თარიღს და ფასს. ჩვენი მიზანია: ბაზარზე უზრუნველყოფილი იყოს ეკონომიკური აგენტების თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობები, გამოვლენილ და აღმოფხვრილ იქნას ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერები. დაცული იყოს ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპი და მიღწეულ იქნეს კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა. უზრუნველყოფილი იყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა

გაფორმებულია 10 ხელშეკრულება შპს აზია სერვისთან (200276343), ჯამური ღირებულებით 543850 ლარი, ბოლო ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება არის 350 000 ლარი (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 2023 წლის 12 ივნისი და ათვისებულია მთლიანი ღირებულების 59 %, მოქმედების ვადა აქვს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) ტრანსპორტის სააგენტოს მთავარი სამოქმედო დოკუმენტი სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დაარსების დღიდან 5 წლის განმავლობაში არის 26 დადგენილება, რომლის ფარგლებშიც ხდება სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტოპარკის მოვლა-შენახვა.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №26

2011 წლის 21 იანვარი

ქ. თბილისი

ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

მუხლი 1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის 6[1] პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) არა უმეტეს 5 წლის წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალის სახელმწიფო შესყიდვა;

ბ) საქართველოში ან საზღვარგარეთ არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამის ქვეყანაში ოფიციალური დილერის ან მწარმოებლის გარანტიის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალის სახელმწიფო შესყიდვა.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის დადგენილება №79-ვებგვერდი,21.02.2011წ.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის დადგენილება №79-ვებგვერდი,21.02.2011წ.

1(ერთი)ხელშეკრულება გაფორმებულია ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში, ხელშეკრულების ღირებულება 72000 ლარი, მომწოდებელი არის სიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო (საქართველოს რეზიდენტი), იცავს ადმინისტრაციულ შენობას.

იურისტის ანგარიში

2022 წლის ნოემბრის თვიდან მიმდინარე მონაცემების გათვალისწინებით, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოში განხორციელდა ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც სააგენტოს საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს/მერიის სამართლებრივი აქტებით აქვს მინიჭებული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მუდმივრეჟიმში ხორციელდება უზრუნველყოფა, ,,სააგენტოს" ყველა დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის, შიდაუწყებრივი დოკუმენტების პროექტების შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, მომზადებულ იქნა სამართლებრივ დასკვნები შემოსულ წერილებსა და განცხადებებზე.

ეტაპობრივად, საჭიროებისამებრ თანამდებობრივ პოზიციათა ცვლილების, გაუქმების ან დამატების შესაბამისად (როგორც შტატიანი ისევე, შტატგარეშე თანამშრომელთა შემთვევაში) განხორციელდა დებულებების ცვლილება/განახლება, რომელიც განსაზღვრავს ტრანსპორტის სააგენტოს შემადგენლობაში არსებული თითოეული სამსახურის **- ადმინისტრაციული სამსახურის, ექსპლუატაციის სამსახურის, მონიტორიგნისა და მგზვრთა უსაფრთხოების სამსახურის**, თანამშრომელთა სამართლებლივი სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებებს, ანგარიშვალდებულებას, სამსახურების ფუნქციებს, სამუშაო აღწერილობებს, თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;

2023 წლის თებერვლის თვიდან სააგენტოს ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლისთანავე შედგენილ იქნა, ელექტრონული საქმის წარმოების ერთიანი წესი, რომელიც განსაზღვრავს სააგენტოს საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, არეგულირებს სააგენტოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით საქმისწარმოების და მომსახურების განხორციელების პირობებს.

პერიოდულად მუშავდება ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მონაწილეობით მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს გასატარებელი ღონისძიებებისა და დოკუმენტაციის წარმოება, რითაც განსაზღვრულია, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მონაწილეობით მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს გასატარებელი ღონისძიებებსა და დოკუმენტაციის წარმოებას.

საჭიროების შესაბამისად, განხორციელებულ იქნა, ტრანსპორტის სააგენტოს პერსონალის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის, სხვა თანამდებობაზე გადაყვანის ან გათავისუფლებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება. საკადრო საკითხებზე (სამუშაოზე მიღება, გათავისუფლება, გადაყვანა, წახალისება, დისციპლინური პასუხისმგებლობა და ა.შ.) ბრძანებათა პროექტების მომზადება, დამუშავება და საბოლოოდ, მისი მოქმედებაში ასახვა. მზადდება და გაიცემა ყველა ის საჭირო დოკუმენტი, რომელიც ტრასნპორტის სააგენტოს თანამშრომლებისთვის არის წარსადგენი, სხვადასხვა უწყებაში თუ შიდა ზემდგომი ხელმძღვანელისთვის.

მზადდება და მუშავდება სააგენტოს მხრიდან წარსადგენი, გასაგზავნი ოფიციალური წერილები. გაფრთხილების აუცილებლობიდან გამომდინარე, თანამშრომლების მიმართ პირადად ხდება შესაბამისი წერილობითი განცხადებით მიმართვა.

აგრეთვე, განხორციელდა მოლაპარაკებები სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებთან სარეკლამო საქმიანობის განხორციელების მიზნით, რაც საბოლოო ჯამში, დასრულდა ქირავნობის ხელშეკრულებათა გაფორმებით, ასევე, მოლაპარაკებით (შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებით) დასრულდა შპს „აზია სერვის"-თან **ხელშეკრულების დადებამდე არსებული პრობლემატიკური საკითხები, რის შესაბამისად, ხორციელდება სააგენტოს ბალანსზე არსებული 30 (ოცდაათი) ცალი საქალაქო ტრანსპორტის/ავტობუსების** შეკეთება/ტექნიკური მომსახურება, ასევე შემსყიდველის მხრიდან სწორი ექსპლუატაციისა და საგარანტიო პირობების შესრულება/დაცვისთვის პერიოდული ტექნიკური მომსახურებისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილების და სახარჯი მასალების, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდება (შემდგომში - მომსახურება).

ასევე, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-4

ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის ასევე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლის **(„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელება“)**, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 ნოემბრის №46 დადგენილების **(„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლით გათალისწინებული სამართალდარღვევისასა საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“)** შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებისათვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის შესაბამის/კანონიერ ვადებში გადაუხდელობის გამო, დამრღვევ პირთა მიმართ განხორციელდა საურავის დაკისრების ღონისძიება, ხოლო საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელდა ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება.

სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, სრული დატვირთვით ხორციელდება ყველა სამართლებრივი თუ არასამართლებრივი დოკუმენტის მომზადება, აგრეთვე სააგენტოს შემადგენლობაში შემავალ თითოეულ სამსახურში (ადმინისტრაციული, ექსპლუატაციის, მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის) მომზადებულ დოკუმენტთა უშუალოდ „იურისტთან“ კოორდინირებით (ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემაში „ვიზირების“ ან სხვა თვალსაზრისით) სააგენტოს დირექტორისთვის წარდგენა.

დასკვნის სახით, დაცულია არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალობა.

კანცელარიის სპეციალისტის ანგარიში

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრციის სამსახურში დასაქმებულია ერთი საქმის წარმოების სპეციალისტი, მისი უფლება მოვალეობანი განსაზღვრულია ადმინიტრაციის სამსახურის დებულებით და სააგენტოს შინაგანაწესით.

ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საკანონმდებლო აქტების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, სააგენტოს წესდების და წინამდებარე დებულების შესაბამისად სხვა ფუნქციებს და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორის და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის წინაშე.

2023 წლის 16 თებერვლიდან ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო გადავიდა ელექტრონულ დოკუმეტბრუნვის პროგრამაზე; MSDA / მუნიციპალური სერვისების განვითარების პროგრამა;(apps.gov.ge)

ახალი პროგრამიდან გამომდინარე კანცელარიაში ხდება მატერიალურად შემოსული თუ გასული კორესპონდენციის ,როგორც პროგრამაში გატარება ასევე მატერიალური ფორმით შენახვა. მთლიანობაში პროგრამაში და მატერიალური ფორმით აღრიცხული კორესპოდენცია შემდეგია:

- 169 ბრძანება
- 157-გასული წერილი
- 142-შემოსული წერილი
- 148-მოხსენებითი ბარათი
- 315-თავისუფალი განცხადება

იმავდროულად შესაბამისობაში ლაგდება საარქივო მასალების დაკომპლექტება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ანგარიში

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრციის სამსახურში დასაქმებულია ერთი საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სპეციალისტი, მისი უფლება მოვალეობებანი განსაზღვრულია ადმინიტრაციის სამსახურის დებულებით და სააგენტოს შინაგანაწესით.

ასრულებს სააგენტოს ოფიციალური ფეისბუქ - გვერდის (https://cutt.ly/3TDGhmW) მუდმივ ოპერატიულ განახლებას, ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს კომუნიკაციას მოქალაქეებთან სააგენტოს ოფიციალური ფეისბუქ - გვერდის მეშვეობით (დღის განმავლობაში საშუალოდ 10-15 წერილი) ასევე, ეხმარება ცხელი ხაზის ოპერატორებს ინფორმაციის მოძიებასა და გადამოწმებაში (დღის განმავლობაში საშუალოდ 15-20 ზარი)

უზრუნველყოფს საზოგადოებასთან, მედიასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიურ თანამშრომლობას. უზრუნველყოფს ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის გაშუქებას, პოპულარიზაციას, რაც უზრუნველყოფს სააგენტოში განხორციელებული ღონისძიებების პოპულარიზაციას. ასრულებს ზემდგომი თანამდებობის პირების მითითებებს.

ამ პერიოდის 2022 წლის ნოემბრიდან განვლილი პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა ორგანიზაციებიდან თუ კერძო სუბიექტებისგან შემოვიდა 18 წერილი საჯარო ინფორმაციის გათხოვის საკითხზე. ყველა მოთხოვნაზე პასუხი გაცემული და დაკმაყოფილებულია (შენიშვნის გარეშე).

გაყიდვების მენეჯერი

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შემავალი გაყიდვების მენეჯერი თანამდებობრივი პოზიცია, დაემატა 2023 წლის 1-ლი აგვისტოდან.

სააგენტოს შიდა სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე, ექვემდებარება სააგენტოს დირექტორისა და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს. მის უფლებამოსილებაში შედის შესაბამისი მომსახურების ან/და სააგენტოს ბალანსზე არსებული ქონების გაყიდვა/გაქირავების და ახალი მომხმარებლის მოძიება.

მიმდინარე 2023 წლის განმავლობაში „ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-მუნიციპალურ ტრანსპორტში სარეკლამო ფართის გაქირავების მიზნით გამოაცხადა ელექტრონული აუქციონი, კერძოდ:

მიმდინარე წლის 10.05.2023 დან 3 (სამი) ლოტად (სადაც არ მიიღეს მსურველებმა მონაწილეობა) 22.05.2023 ჩათვლით.

მიმდინარე წლის 09.06.2023 დან 100 (ასი) ლოტად (სადაც მსურველმა კომპანიამ გაიმარჯვა 11 ლოტში) 22.06.2023 ჩათვლით.

მიმდინარე წლის 22.06.2023 დან 89 (ოთხმოცდა ცხრა) ლოტად (სადაც მსურველმა კომპანიამ და კერძო პირმა გაიმარჯვეს 2 და 14 ლოტში) 09.07.2023 ჩათვლით.

ასევე აუქციონი გამოცხადებული იყო აგვისტოსა და ოქტომბრის თვეში მიუხედავად დაინტერესებისა მსურველებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

გაფორმდა 27 (სარეკლამო ფართთან დაკავშირებული) ხელშეკრულება ერთი წლის ვადით. გაქირავებულია მუნიციპალურ ტრანსპორტში არსებული საერთო სარეკლამო (247 კვ\მ) ფართის 11.6% (28.65 კვ\მ).

ამასთან დაგეგმილია მუნიციპალურ ტრანსპორტში დარჩენილი გასაქირავებელი სარეკლამო ფართის ელექტრონულ აუქციონზე კვლავ გატანა, ხოლო მისი სრულად ათვისების (გაქირავების) შემთხვევაში „ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს ბიუჯეტის შევსება შესაძლებელი იქნება დაახლოებით 68 000 ლარით.

აქედან გამომდინარე დამატებითი სახსრების მობილიზება მნიშვნელოვანია, როგორც სააგენტოს ბიუჯეტის შევსების, ასევე მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებისათვის.

ცხელი ხაზის ანგარიში

ა(ა)იპ,,გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შედის ცხელი ხაზის თანამდებობრივი პოზიცია.

სააგენტოს შიდა სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე, პოზიცია ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორისა და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის წინაშე.

0იდენტიფიცირება, ზარების გადამისამართებას შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება გამავალი ზარის განხორციელება მოქალაქეებთან, რათა საზოგადოების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვება უფრო მარტივად მოხდეს.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, იწარმოება შიდა მონაცემთა ბაზების მუშაობა, სატელეფონო მომსახურების გაწევისა და შემდგომი პრობლემათა აღმოფხვრის საჭიროების მიზნით.

საერთო პრობლემატიკის გათვალისწინებით, ძირითადი პრობლემური საკითხები უკავშირდება: სამარშუტო ხაზებზე მიმავალი ავტობუსების გრაფიკს, მის მდებარეობას და იმ დროის მონაკვეთს, რა დროსაც მუნიციპალური ავტოტრანსპორტი იქნება კონკრეტულ დისლოკაციის ადგილზე, ასევე, გაუმართავი მონიტორების საკითხს, აგრეთვე, შემოსული ზარები დაკავშირებულია საჯარიმო სისტემასთან მიმართებაში დასმულ შეკითხვებს, რაზედაც მყისიერად მოყვება რეაგირება საკითხის აღმოსაფხვრელად.

საბოლოო ჯამში, შემოსული ზარების ოდენობა არის ცვალებადი და დღის განმავლობაში 10-15 ზარს აღწევს.

ასევე, მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი ნივთების შემთხვევაში, (ცხელი ხაზის წარმომადგენელი) ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია სსიპ „112“-ის წარმომადგენელს და გამოძახებულ ჯგუფს გადასცეს დაკარგული ნივთი პირდაპირ მფლობელობაში. დაკარგული ნივთების შესახებ შემოვიდა 192 (ას ოთხმოცდა თორმეტი) ინფორმაცია რაც აღიწერა და გადაეცა პატრონს.

სამეურნეო განყოფილების უფროსის ანგარიში

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ადმინისტრციის სამსახურში დასაქმებულია ერთი სამეურნეო განყოფილების უფროსი, ერთი მატერიალურ-ტექნიკური საწყობის მენეჯერი ორი დამლაგებელი,ერთი მეეზოვე მათი უფლებამოვალეობანი განსაზღვრულია ადმინიტრაციის სამსახურის დებულებით და სააგენტოს შინაგანაწესით.

სამეურნეო განყოფილების უფროსი ექვემდებარება, დირექტორს, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს აძლევს დავალებებს და მითითებებს სამეურნეო განყოფილებაში დასაქმებულ პირებს; ხელმძღვანელობს და მეთვალყურეობს, მათ საქმიანობას;

სააგენტოს დირექტორს და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს სამეურნეო განყოფილების თანამშრომლების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

საანგარიშო პერიოდში სამეურნეო განყოფილების მიერ კანონმდებლობის სრული დაცვით შეძენილია 7 კონტრაქტორი კომპანიისაგან 62 560 ლარის სხვადასხვა საქონელი.

სამეურნეო განყოფილების სპეციალისტის ანგარიში

სამეურნეო განყოფილების სპეციალისტი ექვემდებარება, დირექტორს, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს და სამეურნეო განყოფილების უფროსს. ახორციელებს სააგენტოს შენობებისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებზე მომსახურების უზრუნველყოფას; შენობა–ნაგებობების, განათების, გათბობის, საკანალიზაციო, წყალგაყვანილობის და სხვა სისტემების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას;

ასრულებს, სააგენტოს დირექტორის და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, სამეურნეო განყოფილების უფროსის სხვა დავალებები შინაგანაწესით, წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

ტრანსპორტის სააგენტოს დამლაგებელი ექვემდებარება, დირექტორს, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს და სამეურნეო განყოფილების უფროსს. ასრულებს მაღალხარისხიანად მასზე დაკისრებული სამუშაო; ახორციელებს სააგენტოს შენობა-ნაგებობების, დერეფნების, კაბინეტების, შენობის სველი წერტილების და ინვენტარის სისუფთავის დაცვას;

პერიოდულად ატარებს სადეზინფექციო საშუალებებით დასუფთავება, დღის განმავლობაში რამოდენიმეჯერ ატარებს შენობის მონიტორინგს (მოწესრიგება და სველი წერტილების საჭიროებისამებრ აღჭურვა და სისუფთავეზე კონტროლი);
ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორის და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის სამეურნეო განყოფილების უფროსის წინაშე.

ტრანსპორტის სააგენტოს მეეზოვე ექვემდებარება, დირექტორს, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს და სამეურნეო განყოფილების უფროსს. ასრულებს სამსახურის უფროსის მითითებებს და დავალებებს; უზრუნველყოფს სააგენტოს ეზოს დალაგებას და დასუფთავებას;
ასრულების სააგენტოს დირექტორის და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, სამეურნეო განყოფილების უფროსის სხვა დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

ა (ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს ექსპლუატაციის სამსახურის მიერ 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის შესრულებული სამუშაოები

ექსპლუატაციის სამსახურის საშტატო (და არასაშტატო) შემადგენლობა განისაზღვრება სააგენტოს წესდებით და შიდაგანაწესით, სამსახურის შემადგენლობაა: ექსპლუატაციის სამსახურის უფროსი (1 ადამიანი), ექსპლუატაციის სამსახური-სააგენტოს საინფორმაციო უზრუნველყოფის სპეციალისტი (1 ადამიანი), ინჟინერ-ტექნიკოსი (1 ადამიანი), ტექნიკოსთა ჯგუფის ხელმძღვანელი (1 ადამიანი), ტექნიკოსთა ჯგუფი (9 ადამიანი), ელექტრო ქიმიური საამქროს სპეციალისტი (1 ადამიანი). სადიპეჩერო (მთავარი დისპეჩერი (1 ადამიანი), სადისპეჩეროს საინფორმაციო უზრუნველყოფის სპეციალისტი (1 ადამიანი), დამხმარე დისპეჩერი (1 ადამიანი), მორიგე დისპეჩერი (4 ადამიანი), მორიგე მძღოლი (6 ადამიანი), სვლაგეზის მძღოლი (93 ადამიანი).

ექსპლუატაციის სამსახურის უფროსი

ექსპლუატაციის სამსახურის უფროსი: უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს დებულებით, შინაგანაწესით, წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, იგი ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორის წინაშე.

ექსპლუატაციის სამსახურის უფროსი:

- ხელმძღვანელობს სააგენტოს ტრანსპორტის ექსპლუატაციის მიმართულებას;
- უზრუნველყოფს მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას;
- უზრუნველყოფს ექსპლუატაციის წესების დაცვით სააგენტოს მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მზად ყოფნას;
- მზადყოფნაში არსებული მოძრავი შემადგენლობის რაციონალურად გამოყენების მიზნით ადგენს სააგენტოს კუთვნილ მარშრუტებზე ყოველდღიურ სამუშაო გრაფიკს და აწესებს ავტობუსების ხაზზე გასვლის რიგითობას;
- უზრუნველყოფს მარშრუტების კომპლექტაციას, მათ შორის საჭიროებიდან გამომდინარე სარეზერვო მოძრავი შემადგენლობით;
- ანალიზს უკეთებს ყოველი მძღოლის მუშაობას, შეისწვალის მოცდენისა და ექსპლუატაციის პროცესში ბრუნვების დაკარგვის მიზეზებს;
- უზრუნველყოფს მძღოლების მხრიდან ავტოტრანსპორტის გამართულობას;
- დადგენილი წესით იღებს და გადასცემს დისპეჩერებს საგზურის ფურცლებს და აკონტროლებს მათ შემდგომ მოძრაობას;
- აგრეთვე ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის მიერ ხორციელდება:
- სასაწყობო ოპერაციების აღრიცხვის სისწორის კონტროლი;
- საწყობში არსებული დანაკლისების აღმოფხვრა/მინიმალიზაცია და მარაგების სრული კონტროლი;
- შემოსული პროდუქციის დასაწყობების კოორდინაცია;

- ინვენტარიზაციის წარმოება;
- აკონტროლებს ავტო სატრანსპორტო საშუალებების გამართულობას, ტექნიკურ სპეციალისტთან და ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელთან კოორდინაციით აკონტროლებს ავტობუსებზე ძრავის ზეთი ცვლის თანმიმდევრულობას.
- უზრუნველყობს ყველა ავტობუსის ტექნიკური გამართულობაზე და მათი ტრქნიკური დათვალიერების დროულ გავლაზე
- ექსლუატაციის სამსახურის უფროსის უშუალო ჩართულობით განხორციელდა მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში ფარეხის ტერიტორიაზე გარე საპირფარეშოს მოწესრიგება\აღდგენა.
- ასევე მისი ჩართულობით განხორცილდა მუნიციპალური ტრანსპორტისათვის განკუთვნილი სამრეცხაოს რეკონსტრუქცია;
- სარემონტო საამქროში ელექტრო გაყვანილობის და გათბობა-კონდეცირების სისტემების შეცვლა;
- ფარეხის ტერიტორიაზე არსებული შემოღობვის აღდგენა;
- ამასთან ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის ჩართულობით განხორციელდა მიმდინარე წლის ივლისის თვეში „ა (ა)ი პ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს კუთვნილ KENT C და NAVIGO LF მარკის ავტობუსებში (30 ერთეული) "GPS" სანავიგაციო სისტემების მონტაჟი;
- მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა მუნიციპალურ ტრანსპორტზე ტექნიკური ინსპექტირების გავლა მიმდინარე პერიოდის განმავლობაში თითოეულ KENT C და NAVIGO LF მარკის ავტობუსზე განხორციელდა 2 ჯერ, (30 ერთეულზე განხორციელდა 60 ჯერ);
- მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის ჩართულობით განხორციელდა ,,სსიპ-საქრთველოს მუნიციპალური განვითარების ფონდ“-ის მიერ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასთან შუამდგომლობით („ხრახნიანი დომკრატები საყრდენებით“) ინვენტარის გადმოცემა;
- ამასთან მიმდინარე წლის მარტის თვეში მისი ორგანიზებით განხორციელდა სარემონტო საამქროში, ცალკეული (სამ ფაზიანი) დენის წყაროს მონტაჟი აღნიშნული („ხრახნიანი დომკრატები საყრდენებით“) ინვენტარისათვის;
- ასევე შეძენილ იქნა სარემონტო სამუშაოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობები (ჰაერის კომპრესორი, შედუღების აპარატი, საბურავების მოსახსნელი სპეციალური პნევმატური დანადგარი);
- მუნიციპალური ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირებისათვის, ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის მითითებით ზემო აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შეძენილ იქნა გარკვეული რაოდენობის და ზომის საბურავები:
- ANNAITE 225\75R 17.5 129\127M 366 - 20 ცალი;
- 225\75R 17.5 BAR26 129\127M BLACKHAWK - 52 ცალი;
- 225\75R 17.5 16PR JD575 JINYU - 38 ცალი;
- 9.5R17.5 RH621 ROADX - 26 ცალი;

სამსახურებრივი პოზიციიდან გამომდინარე „ა (ა)ი პ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს ექსპლუატაციის სამსახურის უფროსი ახორციელებდა დაკავებულ პოზიციაზე მოვალეობის შესრულებას მისი კომპეტენციის ფარგლებში, ამასთან უზრუნველყოფდა ხელმძღვანელისაგან სხვა დამატებითი დავალებების შესრულებას.

ექსპლუატაციის სამსახური-სააგენტოს საინფორმაციო უზრუნველყოფის სპეციალისტი

ექსპლუატაციის სამსახურის საინფორმაციო უზრუნველყოფის სპეციალისტი : უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს დებულებით, შინაგანაწესით, წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, იგი ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორის დირექტორის და ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის წინაშე.

- ექსპლუატაციის სამსახური-სააგენტოს საინფორმაციო უზრუნველყოფის სპეციალისტი უზრუნველყოფს (ტექნიკურ ჯგუფთან კოორდინაციით) ყოველდღიურ რეჟიმში ინფორმაციის მოძიება და დაფიქსირება ავტობუსების ტექნიკური გამართულობის (ან გაუმართაობის) შესახებ;
- აწვდის ინფორმაციას შესაბამის უწყებას აღმოჩენილი დეფექტებსა და ნაკლოვანებებთან დაკავშირებით (დეფექტური აქტი) კონტრაქტორ კომნპანიას და სააგენტოს ხელმძღვანელობას.

- ჩათულია ორგანიზატორულ საკითხებში რათა შესაბამისი უწყების მიერ დროულად მოხდეს რეაგირება, პრობლემის აღმოფხვრა (დრო\ვადები);
- ექსპლუატაციის სამსახური უფროსთან და ტექნიკოსთა ჯგუფის ხელმძღვანელთან კოორდინაციით აწარმოებს ავტო სატრანსპორტო საშუალებებზე ძრავის ზეთის შეცვლის თანმიმდევრულობის განრიგს (ცხრილის) სახით;
- გასული პერიოდის (2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით) განმავლობაში სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდა „ა (ა)ი პ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს საინფორმაციო უზრუნველყოფის რანგში, კერძოდ ახორციელებდა ავტობუსების ექსპლუატაციის კონტროლს, დაზიანებული, გაჩერებული ან\და გაუმართავი ავტობუსების შემთხვევაში ყოველდღიურ რეჟიმში აწვდიდა ინფორმაციას დეფექტური აქტის მეშვეობით (წარმოებს 2021 წლის 14 სექტემბრიდან, სულ მიწოდებული 427, ხოლო ანგარიში მოცემული პერიოდის განმავლობაში 233 დეფექტური აქტი, 95 გეგმიური\138 არაგეგმიური) კონტრაქტორ\ქვეკონტრაქტორ კომნპანიას აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრის მოთხოვნით;
- გეგმიური პროფილაქტიკა:
- ძრავის ზეთის ცვლილება (მიმდინარე პერიოდის განმავლობაში თითოეულ KENT C \ NAVIGO LF მარკის ავტობუსზე განხორციელდა 8\9 ჯერ) 30 ერთეულ ავტობუსზე.
- სამუხრუჭე ხუნდების ცვლილება (NAVIGO LF მარკის ავტობუსებზე განხორციელდა 2 ჯერ) 18 ერთეულ ავტობუსზე;
- ავტობუსებზე საპოხი მასალის მიწოდება ხორციელდებოდა ავტობუსებზე ძრავის ზეთის ცვლილების შემდგომ, (მიმდინარე პერიოდის განმავლობაში თითოეულ KENT C \ NAVIGO LF მარკის ავტობუსზე განხორციელდა 8\9 ჯერ) 30 ერთეულ ავტობუსზე;
- არაგეგმიური პროფილაქტიკა:
- ავტობუსების სავალი ნაწილების, ძრავის, სამუხრუჭე ხუნდების, საჭის მექანიზმის, განათების, გადაცემათა კოლოფის და სხვა დეტალების გაუმართობების, ასევე ავტო საგზაო შემთხვევის დროს;
- ჩათული იყო ორგანიზატორულ საკითხებში რათა შესაბამისი უწყების მიერ დროულად განხორციელებულიყო მიწოდებულ ინფორმაციაზე რეაგირება, პრობლემის აღმოფხვრა (დრო\ვადები);
- ამასთან ასრულებდა სააგენტოს დირექტორის მიერ გაცემულ ცალკეულ დავალებებს და განკარგულებებს;
- ასევე აქტიურად იყო ჩართული მიმდინარე წლის 10.05.2023 \ 09.06.2023 \ 22.06.2023 რიცხვებში „ა (ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს მიერ მუნიციპალურ ტრანსპორტში სარეკლამო ფართის გაქირავების მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონებში;
- ამასთან სააგენტოს დირექტორის დავალებით და მისი ჩართულობით განხორციელდა მუნიციპალური ტრანპორტის მოძრაობის მარშუტების\ გაჩერებების ლოკაციების შესწავლა, მომზადდა ინფორმაცია გაჩერებების თავისებურებიდან გამომდინარე (დახაზვის საჭიროება, საგზაო ბოძის\ნიშნის მონტაჟი, ადგილმდებარეობის გასუფთვება და ა.შ), ინფორმაცია, მიმდინარე წლის 05.07.2023 რიცხვში გაეგზავნა გორის მუნიციპალიტეტის მერიას წერილის სახით, ასევე მასალები გადაეცა სააგენტოს შესყიდვების სამსახურს, ზემო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოსაცხადებელი ტენდერის მოსამზადებლად;
- მიმდინარე წლის 07.07.2023 რიცხვში მის მიერ მომზადდა და გაიგზავნა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში წერილი ქალაქ გორში გორიჯვრის ქუჩა №26-ის\ტურისტული სააგენტო „ტონთიო“-ს მიმდებარედ არესებული გაჩერების ტურისტული სააგენტო „ტონთიო“-ს შენობის ბოლოში გადატანის შესახებ, რაც წარმატებით განხორციელდა;
- მიმდინარე წლის 07.07.2023 რიცხვში მის მიერ მომზადდა და გაიგზავნა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში „საქართველოს მუნიციპალური განვითარების კვლევა“-სთან დაკავშირებით წერილი, სააგენტოს სამსახურებრივი საქმიანობის კომპეტენციიდან გამომდინარე;
- მიმდინარე წლის 07.07.2023 რიცხვში მის მიერ მომზადდა და გაიგზავნა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში ქალაქ გორის ტერიტორიაზე მუნიციპალური ტრანსპორტის გადაადგილების მარშუტებზე\გაჩერებებზე არსებული ხეების გადაბელვის შესახებ, რაც ასევე განხორციელდება უახლოეს მომავალში;
- მიმდინარე წლის 11.08.2023 რიცხვში მის მიერ მომზადდა და თურქეთის რესპუბლიკაში კონტრაქტორ კომპანია „OTOKAR“-თან გაიგზავნა წერილი დეფიციტური სათადარიგო ნაწილების დროულად მოწოდებასთან დაკავშირებით, რის შესახებ მიმდინარე წლის 15.08.2023 რიცხვში ასევე მიეწოდა ინფორმაცია (მიბმულ დანართად ზემო აღნიშნული წერილი) გორის მუნიციპალიტეტის მერიას;
- ამასთან მიმდინარე წლის 30.08.2023 იმყოფებოდა ქალაქ თბილისში ტაბიძის ქუჩა N86 შ.პ.ს "GEO GPS"-ში მივლინებით, "GPS" სანავიგაციო სისტემების შესწავლის მიზნით, რაც სააგენტოს სამომავლო

პერსპექტიული საქმიანობისათვის აუცილებელი კომპონენტია;

- მიმდინარე წლის 04.09.2023 რიცხვში მის მიერ მომზადდა და გორის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიგზავნა (განმეორებით) წერილი „მუნიციპალური ტრანსპორტის გადაადგილების მარშუტებზე\გაჩერებებზე, არსებული ხეების გადაბელვის მოთხოვნის შესახებ“, რაც საკრებულოს განხილვის შემდეგ განხორციელდება უახლოეს მომავალში;

სამსახურებრივი პოზიციიდან გამომდინარე „ა (ა)ი პ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს საინფორმაციო უზრუნველყოფის სპეციალისტი ახორციელებდა დაკავებულ პოზიციაზე მოვალეობის შესრულებას მისი კომპეტენციის ფარგლებში, ამასთან უზრუნველყოფდა ხელმძღვანელისაგან სხვა დამატებითი დავალებების შესრულებას.

ინჟინერ-ტექნიკოსი

ინჟინერ ტექნიკოსი უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს დებულებით, შინაგანაწესით, წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, იგი ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორისა და ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის წინაშე, მის დაქვემდებარებაშია ტექნიკოსთა ჯგუფის უფროსი და ტექნიკოსთა ჯგუფი.

- ინჟინერ ტექნიკოსის უშუალო ჩართულობით იგეგმებოდა და ხორციელდებოდა საორგანიზაციო საკითხები ავტო სატრანსპორტო საშუალებების სწორ და ხარისხიან ექსპლუატაციასთან დაკავშირებით;
- უშუალოდ მისი ჩართულობით ხორციელდებოდა ავტობუსებზე საწვავის კატალიზატორის (ედ-ბლუ), ანტიფრიზისა და მინის საწმენდი სითხეების გაცემის, ძრავის ზეთის თანმიმდევრული ცვლის, აღრიცხვა და კონტროლი.
- ინჟინერ-ტექნიკოსი ახორციელებდა კონტროლს ავტო სატრანსპორტო საშუალებების დილას სამარშუტო ხაზებზე გასვლის, ხოლო საღამოს დაბრუნების შემდეგ მათი ტექნიკური მდგომარეობის გამართულობის შესახებ, აგრეთვე დღის გამავლობაში სამარშუტო ხაზებზე\ავტო სატრანსპორტო საშუალებებზე წარმოქმნილ რაიმე დაბრკოლების ან გაუმართაობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით;
- ინჟინერ-ტექნიკოსის უშუალო ჩართულობით განხორციელდა მიმდინარე პერიოდში „ა (ა)ი პ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს ბალანსზე რიცხულ KENT C და NAVIGO LF მარკის ავტობუსებზე გეგმიური და არაგეგმიური პროფილაქტიკა;
- გეგმიური პროფილაქტიკა:
- ძრავის ზეთის ცვლილება (მიმდინარე პერიოდის განმავლობაში თითოეულ KENT C \ NAVIGO LF მარკის ავტობუსზე განხორციელდა 8\9 ჯერ) 30 ერთეულ ავტობუსზე.
- სამუხრუჭე ხუნდების ცვლილება (NAVIGO LF მარკის ავტობუსებზე განხორციელდა 2 ჯერ) 18 ერთეულ ავტობუსზე;
- ავტობუსებზე საპოხი მასალის მიწოდება ხორციელდებოდა ავტობუსებზე ძრავის ზეთის ცვლილების შემდგომ, (მიმდინარე პერიოდის განმავლობაში თითოეულ KENT C \ NAVIGO LF მარკის ავტობუსზე განხორციელდა 8\9 ჯერ) 30 ერთეულ ავტობუსზე.
- არაგეგმიური პროფილაქტიკა:
- ავტობუსების სავალი ნაწილების, ძრავის, სამუხრუჭე ხუნდების, საჭის მექანიზმის, განათების, გადაცემათა კოლოფის და სხვა დეტალების გაუმართობების, ასევე ავტო საგზაო შემთხვევის დროს;
- ინჟინერ-ტექნიკოსის უშუალო ჩართულობით განხორციელდა მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში ფარეხის ტერიტორიაზე გარე საპირფარეშოს მოწესრიგება\აღდგენა.
- ასევე ჩართული იყო მუნიციპალური ტრანსპორტისათვის განკუთვნილი სამრეცხაოს რეკონსტრუქციის საკითხებში;
- მისი მონაწილეობით განხორციელდა სარემონტო საამქროში ელექტრო გაყვანილობის და გათბობა-კონდეცირების სისტემების შეცვლა;
- ფარეხის ტერიტორიაზე არსებული შემოღობვის აღდგენა;
- ამასთან ჩართული იყო ორგანიზატორულ საკითხებში, გასცემდა მითითებებს ტექნიკურ (ჯგუფზე) ჯგუფის უფროსზე და აკონტროლებდა მათ მიერ სამსახურებრივი მოვალობის ჯეროვნად შესრულებას;

სამსახურებრივი პოზიციიდან გამომდინარე „ა (ა)ი პ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს ინჟინერ-ტექნიკოსი ახორციელებდა დაკავებულ პოზიციაზე მოვალეობის შესრულებას მისი კომპეტენციის ფარგლებში, ამასთან უზრუნველყოფდა ხელმძღვანელისაგან სხვა დამატებითი დავალებების შესრულებას.

ტექნიკური ჯგუფის უფროსი

ტექნიკური ჟგუფის ხელმძღვანელი უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს დებულებით, შინაგანაწესით, წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, იგი ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორის, ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის და ინჟინერ-ტექნიკოსის წინაშე, მის დაქვემდებარებაშია ტექნიკოსთა ჯგუფი.

- ტექნიკური ჟგუფის ხელმძღვანელი აანალიზებს ინჟინერ ტექნიკოსის მიერ მოცემულ დავალებებს და აკონტროლებს მის დაქვემდებარებაში მყოფ ტექნიკური ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხს.
- ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელის კონტროლით ხორციელდება საორგანიზაციო საკითხები ავტო სატრანსპორტო საშუალებების სწორ და ხარისხიან ექსპლუატაციასთნ მიმართებაში.

მისი ჩართულობით ხორციელდება ავტობუსებზე (ედ-ბლუ) და მინის საწმენდი სითხეების გაცემის, ძრავის ზეთის თანმიმდევრული ცვლის, აღრიცხვა და კონტროლი.

- ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელის ჩართულობით ხორციელდება შესაბამისი უწყების მიერ ავტობუსებზე დაზიანებების აღმოფხვრა (კარი, სავალი ნაწილები, ძრავი, გადაცემათა კოლოფი და ა.შ).
- ტექნიკური ჯგუფის უფროსის უშუალო ჩართულობით განხორციელდა მიმდინარე პერიოდში „ა (ა)ი პ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს ბალანსზე რიცხულ KENT C და NAVIGO LF მარკის ავტობუსებზე გეგმიური და არაგეგმიური პროფილაქტიკა;
- გეგმიური პროფილაქტიკა:
- ძრავის ზეთის ცვლილება (მიმდინარე პერიოდის განმავლობაში თითოეულ KENT C \ NAVIGO LF მარკის ავტობუსზე განხორციელდა 8\9 ჯერ) 30 ერთეულ ავტობუსზე.
- სამუხრუჭე ხუნდების ცვლილება (NAVIGO LF მარკის ავტობუსებზე განხორციელდა 2 ჯერ) 18 ერთეულ ავტობუსზე;
- ავტობუსებზე საპოხი მასალის მიწოდება ხორციელდებოდა ავტობუსებზე ძრავის ზეთის ცვლილების შემდგომ, (მიმდინარე პერიოდის განმავლობაში თითოეულ KENT C \ NAVIGO LF მარკის ავტობუსზე განხორციელდა 8\9 ჯერ) 30 ერთეულ ავტობუსზე.
- არაგეგმიური პროფილაქტიკა:
- ავტობუსების სავალი ნაწილების, ძრავის, სამუხრუჭე ხუნდების, საჭის მექანიზმის, განათების, გადაცემათა კოლოფის და სხვა დეტალების გაუმართობების, ასევე ავტო საგზაო შემთხვევის დროს;
- ტექნიკური ჯგუფის უფროსის უშუალო ჩართულობით განხორციელდა მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში ფარეხის ტერიტორიაზე გარე საპირფარეშოს მოწესრიგება\აღდგენა.
- ასევე ჩართული იყო მუნიციპალური ტრანსპორტისათვის განკუთვნილი სამრეცხაოს რეკონსტრუქციის საკითხებში;
- მისი მონაწილეობით განხორციელდა სარემონტო საამქროში ელექტრო გაყვანილობის და გათბობა-კონდეცირების სისტემების შეცვლა;
- ფარეხის ტერიტორიაზე არსებული შემოღობვის აღდგენა;
- ამასთან ჩართული იყო ორგანიზატორულ საკითხებში, გასცემდა მითითებებს ტექნიკურ ჯგუფზე და აკონტროლებდა მათ მიერ სამსახურებრივი მოვალობის ჯეროვნად შესრულებას;

სამსახურებრივი პოზიციიდან გამომდინარე „ა (ა)ი პ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო“-ს ტექნიკოსთა ჯგუფის უფროსი ახორციელებდა დაკავებულ პოზიციაზე მოვალეობის შესრულებას მისი კომპეტენციის ფარგლებში, ამასთან უზრუნველყოფდა ხელმძღვანელისაგან სხვა დამატებითი დავალებების შესრულებას.

ტექნიკოსი

ტექნიკოსი უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს დებულებით, შინაგანაწესით, წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, იგი ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორის, ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის, ინჟინერ ტექნიკოსის და ტექნიკოსთა ჯგუფის უფროსის წინაშე.

- ტექნიკოსი თავის სამსახურეობრივ მოვალეობას ახორციელებდა სამსახურის მიერ განსაზღვრულ პერიოდში (ყოველი მეოთხე სამუშაო დღე), ასრულებდა ინჟინერ ტექნიკოსისა და ტექნიკური ჯგუფის უფროსის მითითებებს და დავალებებს, საორგანიზაციო საკითხებს;
- ტექნიკოსი აწარმოებდა ავტო სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებას დილას სამარშუტო ხაზებზე გასვლის, ხოლო საღამოს დაბრუნების შემდეგ, აკეთებდა შესაბამის ჩანაწერს მათი ტექნიკური მდგომარეობის გამართულობის, აგრეთვე დღის გამავლობაში სამარშუტო ხაზებზე\ავტო სატრანსპორტო საშუალებებზე წარმოქმნილ რაიმე დაბრკოლების ან გაუმართაობის აღმოფხვრის შესახებ;
- ტექნიკოსის უშუალო მხარდაჭერით ხორციელდებოდა შესაბამისი უწყების მიერ ავტო სატრანსპორტო საშუალებებზე არსებული პრობლემების აღმოფხვრის პროცესი;
- ამასთან ჩართული იყო საორგანიზაციო საკიტხებში და ასრულებდა ინჟინერ-ტექნიკოსის და ტექნიკოსთა ჯგუფის უფროსის მითითებებს და დავალებებს;

ტექნიკოსი უფლება მოსილებებს ახორციელებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სააგენტოს დებულებით, აგრეთვე უზრუნველყოფდა ხელმძღვანელისაგან მოცემული სხვა დამატებითი დავალებების შესრულებას.

ელექტო ქიმიური საამქროს სპეციალისტი

ელექტრო ქიმიური საამქროს სპეციალისტი უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს დებულებით, შინაგანაწესით, წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, იგი ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორის, ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის, ინჟინერ ტექნიკოსის და ტექნიკოსთა ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

- ელექტრო ქიმიური საამქროს სპეციალისტი უზრუნველყოფს ავტობუსების დამხმარე და დასაქოქი მოწყობილობის მუდმივ მზადყოფნაში ქონას;
- ახდენს სპეციალური ხელსაწყოს (ტესტერი) მეშვეობით აკუმულატორის ელექტრო სიმძლავრის გაზომვას;
- ახორციელებს აკუმულატორების სითხის სიმკვრივის გაზომვას და სითხის სიკმარის არქონის შემთხვევაში დამატებას;
- ამჟამად მის განკარგულებაშია:
- სათადარიგო 225 ამპ. აკუმულატორი 4 (ცალი);
- აკუმულატორის სიმკვრივის გამზომი 1 (ცალი);
- აკუმულატორის ამპერაჟის გამზომი 1 (ცალი);
- აკუმულატორის დამტენი 1 (ცალი);

ელექტრო ქიმიური საამქროდს სპეციალისტი უფლება მოსილებებს ახორციელებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სააგენტოს დებულებით, აგრეთვე უზრუნველყოფდა ხელმძღვანელისაგან მოცემული სხვა დამატებითი დავალებების შესრულებას.

მორიგე მძღოლი

მძღოლი ტექნიკოსი უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს დებულებით, შინაგანაწესით, წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, იგი ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორის, ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის, ინჟინერ ტექნიკოსის და ტექნიკოსთა ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

- მძღოლი ტექნიკოსების პირადი შემადგენლობის რაოდენობაა ამჟამად (6 ადამიანი);
- მძღოლი ტექნიკოსი თავის სამსახურეობრივ მოვალეობას ახორციელებდა სამსახურის მიერ განსაზღვრულ პერიოდში (ყოველი მესამე სამუშაო დღე), ასევე ასრულებდა ინჟინერ ტექნიკოსისა და ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელის მითითებებს და დავალებებს;
- მორიგე მძღოლი უზრუნველყოფდა ყოველ დილას სვლა გეზის მძღოლების და პერსონალის (ადმინისტრაციის) პირადი შემადგენლობის სამსახურში მობილიზებას, საღამოს (სამუშაო საათების დასრულების შემდეგ) სახლში დაბრუნებას;
- მორიგე მძღოლი ახორციელებდა ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე საწვავის ავზის შევსებას (საღამოს ავტობუსების ბაზაზე დაბრუნების შემდეგ);
- ავტობუსების (სულ 30) საწვავის ავზის შევსება ხდებოდა საშუალოდ:
- დღეში 12 ავტობუსი,
- თვეში 360 ავტობუსი,
- შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში მოხდა საშუალოდ 3960 ჯერ ავტობუსების ავზის შევსება;
- ამასთან გასულ პერიოდში მორიგე მძღოლის უშუალო მონაწილეობით დაზიანდა საქარე მინები:
- წინა საქარე მინა 2 (ცალი);
- უკანა საქარე მინა 3 (ცალი);

  რაზეც სააგენტოს მხრიდან რეაგირება მიღებულია, ინციდენტში მონაწილე მორიგე მძღოლები ზარალის ანაზღაურებას ახდენენ ხელფასიდან დაქვითვის სახით;

  მორიგე მძღოლი უფლება მოსილებებს ახორციელებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სააგენტოს დებულებით, აგრეთვე უზრუნველყოფდა ხელმძღვანელისაგან მოცემული სხვა დამატებითი დავალებების შესრულებას.

სვლა გეზის მძღოლი

სვლა გეზის მძღოლი უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს დებულებით, შინაგანაწესით, წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, იგი ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორის, ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის, ინჟინერ ტექნიკოსის და ტექნიკოსთა ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

- სვლა გეზის მძღოლების პირადი შემადგენლობის რაოდენობაა ამჟამად (93 ადამიანი).
- მორიგე მძღოლი თავის სამსახურეობრივ მოვალეობას ახორციელებდა სამსახურის მიერ განსაზღვრულ პერიოდში (ყოველი მესამე სამუშაო დღე), სამ ცვლად.
- სვლა გეზის მძღოლები სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას ახორციელებდნენ ყოველი კალენდარული დღის 07:00 დან 20:00 საათამდე,
- გადაყავდათ მგზავრთა პირადი შემადგენლობა დანიშნულების პუნქტების და მარშუტების შესაბამისად:
- სვლა გეზის მძღოლების რაოდენობა (93 ადამიანი);
- სვლა-გეზის მარშუტების რაოდენობა 16 (თექვსმეტი);
- მარშუტებზე გასული ავტობუსების საშუალო მაჩვენებელი გასული პერიოდი განმავლობაში შემდეგნაირია:
- იანვარი 757 საშუალოდ დღეში 24;
- თებერვალი 757 საშუალოდ დღეში 24;

- მარტი 819 საშუალოდ დღეში 26;
- აპრილი 777 საშუალოდ დღეში 25;
- მაისი 811 საშუალოდ დღეში 26;
- ივნისი 750 საშუალოდ დღეში 25;
- ივლისი 792 საშუალოდ დღეში 25;
- აგვისტო 776 საშუალოდ დღეში 24;
- სექტემბერი 754 საშუალოდ დღეში 25;
- შესაბამისად, სვლა გეზის მძღოლებმა საანგარიშო პერიოდში განახორციელეს საშუალოდ 6933 ჯერ სარეისო გასვლა;

სვლა-გეზის მძღოლი უფლება მოსილებებს ახორციელებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სააგენტოს დებულებით, აგრეთვე უზრუნველყოფდა ხელმძღვანელისაგან მოცემული სხვა დამატებითი დავალებების შესრულებას.

მთავარი დისპეჩერი

მთავარი დისპეჩერი უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს დებულებით, შინაგანაწესით, წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, იგი ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორის დირექტორის და ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის წინაშე, მის დაქვემდებარებაშია: სადისპეჩეროს საინფორმაციო სპეციალისტი, დამხმარე დისპეჩერი, მორიგე დისპეჩერი.

- მთავარი დისპეჩერის მიერ გასული პერიოდის განმავლობაში ყოველდღიურად ხდებოდა კონტროლი ელექტრონული სისტემის, მის დაქვემდებარებაში მყოფი შემადგენლობის (სადისპეჩეროს საინფორმაციო სპეციალისტი, დამხმარე დისპეჩერი, მორიგე დისპეჩერი) მიერ მათზე დაკისრებული უფლება\მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას;
- ელექტრონულ სისტემაში მძღოლებისა და ავტობუსების დარღვევის შემთხვევაში ხდებოდა:
- ოქმის შედგენა;
- მძღოლების გამოძახება;
- წარმოებდა ყოველდღიური რეესტრი;
- მარშუტების შეცვლა ავტობუსების დაზიანების შემთხვევაში;
- მისი უშუალო ჩართულობით ყოველ ორ თვეში ერთხელ ხორციელდებოდა ავტობუსების მარშუტების ცვლილება, შაბათ-კვირას და დასვენების დღეებში ავტობუსების გაჩერება;
- მძღოლების შვებულებების გადანაწილება, მოხსენებითი ბარათების (საავადმყოფო ფურცელი და ა.შ) შედგენა;
- სამუშაო დროის აღრიცხვის ჟურნალი;
- აწარმოებდა ყოველთვიურ გარფიკებს (მორიგე მძღოლები, დისპეჩერები, მძღოლები და მძღოლების გადანაწილება მოძრავ გრაფიკზე);
- ამასთან ელექტრონული სისტემის მართვაში „MCDA“ შემოსულ წერილებზე, ბრძანებებზე ახორციელებდა დავალებების შესრულებას;
- მიმდინარე წლის 30.08.2023_ში იმყოფებოდა ქ. თბილისში ტაბიძის ქუჩა N86_ში შ.პ.ს “GEO GPS”_ში მივლინებით, “GPS” სანავიგაციო სისტემების შესწავლის მიზნით, რაც სააგენტოს სამომავლო პერსპექტიული საქმიანობისთვის აუცილებელი კომპონენტია;

მთავარი დისპეჩერი უფლება მოსილებებს ახორციელებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სააგენტოს დებულებით, აგრეთვე უზრუნველყოფდა ხელმძღვანელისაგან მოცემული სხვა დამატებითი დავალებების შესრულებას.

სადისპეჩეროს საინფორმაციო უზრუნველყოფის სპეციალისტი

სადისპეჩეროს საინფორმაციო უზრუნველყოფის სპეციალისტი უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს დებულებით, შინაგანაწესით, წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, იგი ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორის დირექტორის, ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის და მთავარი დისპეჩერის წინაშე.

- აქტიურად იყო ჩართული სააგენტოს სადისპეჩეროს საქმიანობაში და მონაწილეობას იღებდა როგორც ყოველდღიურ ასევე სხვა და სხვა პროექტისთვის საჭირო საქმიანობაში;
- ყოველდღიურად ახორციელებდა რეესტრში:
- გავლილი კილომეტრაჟების შეყვანას;
- მძღოლების გამოძახებას;
- მომდევნო დღის დაგეგმვას;
- წერდა მოხსენებით ბარათებს (ბიულეტინზე და შვებულებებზე);
- აწარმოებდა მარშუტების შეცვლას ავტობუსის დაზიანების შემთხვევაში და ავტობუსის ჩანაცვლებას მარშუტზე;
- ყოველი თვის ბოლოს ახდენდა ფინანსურ განყოფილებაში მონაცემების გადაცემას განვლილი თვის რეესტრს მძღოლების ხელფასებისთვის ანგარიშგებისათვის; ასევე ოდომეტრების ჩვენებების გადაცემას თვის პირველი რიცხვიდან თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით;
- ყოველ ორ თვეში ერთხელ ახორციელებდა ავტობუსების მარშუტების შეცვლას რეესტრში;
- მიმდინარე წლის 30.08.2023_ში იმყოფებოდა ქ. თბილისში ტაბიძის ქუჩა N86_ში შ.პ.ს "GEO GPS"_ში მივლინებით, "GPS" სანავიგაციო სისტემების შესწავლის მიზნით,რაც სააგენტოს სამომავლო პერსპექტიული საქმიანობისთვის აუცილებელი კომპონენტია;

სადისპეჩეროს საინფორმაციო უზრუნველყოფის სპეციალისტი უფლება მოსილებებს ახორციელებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სააგენტოს დებულებით, აგრეთვე უზრუნველყოფდა ხელმძღვანელისაგან მოცემული სხვა დამატებითი დავალებების შესრულებას.

დისპეჩერი

დისპეჩერი უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს დებულებით, შინაგანაწესით, წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, იგი ანგარიშვალდებულია სააგენტოს დირექტორის დირექტორის, ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის და მთავარი დისპეჩერის წინაშე.

- გასული პერიოდის განმავლობაში დისპეჩერის მიერ ყოველ დილას ხდება ავტობუსების მოძრაობის მარშუტებზე გაშვება;
- ოდომეტრებისა და მარშუტების შემოწმების შემდგომ ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მათი კონტროლი მთელი დღის განმავლობაში;
- დაზიანების შემთხვევაში დისპეჩერი ახორციელებდა ავტობუსის მარშუტიდან მოხსნას, რასაც აწარმოებდა ასევე ელექტრონული სისტემის მეშვეობით და აბრუნებდა ფარეხის ტერიტორიაზე;
- დაზიანებული ავტობუსის შეკეთების (პრობლემის აღმოფხვრის) შემთხვევაში ანალოგიური სისტემით ახორციელებდა მათ მოძრაოის მარშუტებზე დაბრუნებას;
- მიმდინარე პერიოდში დისპეჩერების დაფიქსირდა ავტობუბუსების ბაზაზე დაბრუნების (გეგმიური\არაგეგმიური ფროფილაქტიკის მიზნით) რაც ასევე ასახა ელექტრონულ სისტემაში
- გეგმიური\არაგეგმიური პროფილაქტიკა - 385;
- GPS სანავიგაციო სისტემის კავშირის პრობლემა - 55;
- მარშუტიდან გადახვევა (GPS სანავიგაციო სისტემის მიხედვით) – 18;

დისპეჩერი უფლება მოსილებებს ახორციელებდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სააგენტოს დებულებით, აგრეთვე უზრუნველყოფდა ხელმძღვანელისაგან მოცემული სხვა დამატებითი დავალებების შესრულებას.

ა (ა) ი პ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს მონიტორინგისა და მგზავრთა

უსაფრთხოების სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოები

„გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს“ მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურში 2023 წლის ოქტომბრის მდგომარეობით მუშაობს 41 თანამშრომელი: სამსახურის უფროსი, უფროსი მენეჯერი (სამსახურის უფროსის მოადგილე), მგზავრთა უსაფრთხოების მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების უფროსი მენეჯერი (სამედიცინო კომისიის მუდმივი წევრი), შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, საინფორმაციო უზრუნველყოფის სპეციალისტი, მგზავრთა უსაფრთხოების 3 კოორდინატორი, მგზავრთა უსაფრთხოების 31 კონტროლიორი, 1 სტაჟიორ-კონტროლიორი, 3 ექთანი. წარმოგიდგენთ, ტრანსპორტის სააგენტოს დებულებით, სტრუქტურული თანამიმდევრობით, სამსახურის თანამშრომლებზე დაკისრებული უფლება-მოვალეობის შესაბამისად,

სამსახურის უფროსი:

ახორციელებდა სამსახურის საერთო ხელმძღვანელობას, წარმართავდა მის საქმიანობას, უზრუნველყოფდა და აკონტროლებდა სამსახურის ფუნქციების შესრულებას. ანაწილებდა ფუნქციურ მოვალეობებს თანამშრომლებს შორის, აძლევდა მათ მითითებებსა და დავალებებს. ახორციელებდა კონტროლს მათ მიერ სამსახურეობრივ მოვალეობათა შესრულებასა და შრომის დისციპლინის დაცვაზე. სააგენტოს დირექტორს წარუდგენდა წინადადებებს სამსახურის მუშაობის სრულყოფის, სამსახურის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის ოპტიმიზაციის შესახებ. ასრულებდა სააგენტოს დირექტორის ცალკეულ დავალებებს.

უფროსი მენეჯერი (სამსახურის უფროსის მოადგილე):

მონაწილეობას იღებდა სააგენტოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაწილეობით მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებაში. („ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მონაწილეობით მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს გასატარებელი ღონისძიებებისა და დოკუმენტაციის წარმოების წესი“) კოორდინაციას უწევდა მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მუშაობას. ახორციელებდა კონტროლს მათ მიერ სამსახურეობრივ მოვალეობათა შესრულებასა და შრომის დისციპლინის დაცვაზე. სამსახურის თანამშრომლების მხრიდან დისციპლინარული დარღვევის შემთხვევაში, აწარმოებდა საქმის მოკვლევას და შესაბამისი დოკუმენტაციის შექმნას. პერმანენტულად უწევდა ზედამხედველობას მონიტორინგზე გამსვლელი ჯგუფის საქმიანობას, პერიოდულად ამოწმებდა, უფლებამოსილი პირების მიერ ავტოტრანსპორტის ხაზზე გაშვების და ავტობაზაში მიღების პროცესს და უზრუნველყოფდა ავტოტრანსპორტის ვიზუალური (მათ შორის სანიტარული, ჰიგიენური) მდგომარეობის შემოწმებას. სამსახურის უფროსს წარუდგენდა წინადადებებს სამსახურის მუშაობის სრულყოფის, სამუშაო გრაფიკის და სამუშაო პროცესის ოპტიმიზაციის შესახებ. ასრულებდა სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს.

მგზავრთა უსაფრთხოების მენეჯერი:

ხელმძღვანელობდა კოორდინატორების და კონტროლიორების სამუშაო პროცესის მართვას. უზრუნველყოფდა მგზავრთა გაბილეთიანების კონტროლს. აწარმოებდა უბილეთო მგზავრების მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის

შესაბამისი მუხლით შედგენილი საჯარიმო ქვითრების (ოქმების) აღრიცხვის კონტროლს. აწარმოებდა კონტროლს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზასთან კავშირის, ელექტრონული ბაზიდან გამოთხოვილი ინფორმაციის აღრიცხვასა/სტატისტიკის და აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ელექტრონულ კავშირის უზრუნველყოფაზე. აწარმოებდა კონტროლს ტრანსპორტის სააგენტოს, დაჯარიმებულ მგზავრთა ელექტრონულ ბაზაში საჯარიმო ოქმების აღრიცხვასა და სტატისტიკის უზრუნველყოფაზე. გრაფიკის მიხედვით ხელმძღვანელობდა მძღოლების ყოველდღიურ სამედიცინო შემოწმებას. მონაწილეობდა 2023 წლის მონიტორინგის გეგმა-გრაფიკის მიხედვით დაგეგმილ ღონისძიებებში: ღამის საათებში ავტოპარკის ტერიტორიის დათვალიერება, მორიგე ტექნიკოსების შემოწმება, ავტობუსების რეცხვისა და ავტობაზაში სააგენტოს მფლობელობაში არსებული ავტოტრანსპორტის ვიზუალური (მათ შორის სანიტარული-ჰიგიენური) მდგომარეობის შემოწმება. - სამარშრუტო ხაზების მონიტორინგი (ავტოტრანსპორტში, ხაზზე მომუშავე მძღოლების და კონტროლიორების მიერ შესაბამისი წესებისა და ინსტრუქციების შესრულება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა). კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდა მძღოლებისა და კონტროლიორების უსაფრთხო მუშაობას. უზრუნველყოფდა სტაჟიორ-კონტროლიორების ტრენინგს. მისი ზედამხედველობით 2022 წლის ნოემბრიდან - 2023 წლის ოქტომბრის ჩათვლით, სტაჟირება გაიარა თორმეტმა თანამშრომელმა, გამოვლენილი იქნა სტაჟიორ-კონტროლიორების და კონტროლიორების 6 დისციპლინარული გადაცდომა, რის გამოც 3 სტაჟიორს არ გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულება, 3 კონტროლიორს დაედო დისციპლინარული სახდელი. გამოვლენილი იქნა კოორდინატორის დისციპლინარული დარღვევა, რაც მოხდა განმეორებით და კოორდინატორი დაქვეითებული იქნა კონტროლიორის პოზიციაზე. კოორდინატორის და კონტროლიორის ინფორმაციის საფუძველზე გამოვლენილი იქნა მძღოლების 2 დისციპლინარული გადაცდომა, რაც გადაეგზავნა დისციპლინარულ კომისიას. ასრულებდა სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს.

შრომის უსაფრთხოების უფროსი მენეჯერი,

(სამედიცინო კომისიის მუდმივი წევრი): უზრუნველყოფდა სააგენტოში შრომის უსაფრთხოების, ტექნიკური უსაფრთხოების და ჯამრთელობის დაცვის პოლიტიკის გატარებას/დაგეგმვას, განხორციელებას, მართვას და კონტროლს. უზრუნველყოფდა სააგენტოს ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნორმების შესრულებასა და კონტროლს საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“(2019 წლის 19 თებერვლის N4283-II) შესაბამისად. მონაწილეობდა 2023 წლის მონიტორინგის გეგმა-გრაფიკის მიხედვით დაგეგმილ ღონისძიებებში: ღამის საათებში ავტოპარკის ტერიტორიის დათვალიერება, მორიგე ტექნიკოსების შემოწმება, ავტობუსების რეცხვისა და ავტობაზაში სააგენტოს მფლობელობაში არსებული ავტოტრანსპორტის ვიზუალური (მათ შორის სანიტარული-ჰიგიენური) მდგომარეობის შემოწმება. - სამარშრუტო ხაზების მონიტორინგი (ავტოტრანსპორტში, ხაზზე მომუშავე მძღოლების და კონტროლიორების მიერ შესაბამისი წესებისა და ინსტრუქციების შესრულება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა). კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდა მძღოლებისა და კონტროლიორების უსაფრთხო მუშაობას. გრაფიკის მიხედვით ხელმძღვანელობდა მძღოლების ყოველდღიურ სამედიცინო შემოწმებას, როგორც სამედიცინო კომისიის მუდმივი წევრი წარმართავდა სამედიცინო კომისიის მუშაობას. მძღოლების ყოველდღიურ სამედიცინო შემოწმებაზე, სამედიცინო კომისიამ 2022 წლის ნოემბრიდან - 2023 წლის ოქტომბრის ჩათვლით გამოავლინა მძღოლების ალკოჰოლური თრობის 8 ფაქტი, ყველა მათგანზე შეადგა სვლაგეზზე გასვლის დარღვევის ოქმი და გადაეგზავნა დისციპლინარულ კომისიას. შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი(2023 წელი) გეგმის მიხედვით, სააგენტოს თანამშრომლებთან ჩაატარა ტრენინგი: დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და უსაფრთხო შრომის პრინციპები/სახანძრო უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები, საევაკუაციო

ღონისძიებები/ელექტრო უსაფრთხოება, საოფისე უსაფრთხოება. უწევდა კოორდინაციას ექთნების მიერ ჩატარებულ ტრენინგს: პირველადი სამედიცინო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი, ეპიდემიის-პანდემიის პერიოდში ღონისძიებების გატარების ინსტრუქცია. აგვისტოს თვეში შრომის უსაფრთხოების მენეჯერების რეკომენდაციით მოხდა ახალი ცეცხლმაქრების შეძენა და ავტობუსებში ძველი ცეცხლმაქრების ახლებით ჩანაცვლება ასრულებდა სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს.

შრომის უსაფრთხოების მენეჯერი:

უზრუნველყოფდა სააგენტოში შრომის უსაფრთხოების, ტექნიკური უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის გატარებას/შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის გეგმის განხორციელებას. შრომის უსაფრთხოების უფროს მენეჯერს ეხმარებოდა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი(2023 წელი) გეგმის მიხედვით, სააგენტოს თანამშრომლებთან ტრენინგის ჩატარებაში. უზრუნველყოფდა შრომის უსაფრთხოების ნიშნებზე, ხანძარსაწინააღმდეგო, პირველადი დახმარების საშუალებებზე და მედიკამენტებზე მუდმივ კონტროლს. უზრუნველყოფდა სააგენტოს ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნორმების შესრულებასა და კონტროლს საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“(2019 წლის 19 თებერვლის N4283-II) შესაბამისად. გრაფიკის მიხედვით ხელმძღვანელობდა მძღოლების ყოველდღიურ სამედიცინო შემოწმებას. მონაწილეობდა 2023 წლის მონიტორინგის გეგმა-გრაფიკის მიხედვით დაგეგმილ ღონისძიებებში: ღამის საათებში ავტოპარკის ტერიტორიის დათვალიერება, მორიგე ტექნიკოსების შემოწმება, ავტობუსების რეცხვისა და ავტობაზაში სააგენტოს მფლობელობაში არსებული ავტოტრანსპორტის ვიზუალური (მათ შორის სანიტარული-ჰიგიენური) მდგომარეობის შემოწმება. - სამარშრუტო ხაზების მონიტორინგი (ავტოტრანსპორტში, ხაზზე მომუშავე მძღოლების და კონტროლიორების მიერ შესაბამისი წესებისა და ინსტრუქციების შესრულება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა). კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდა მძღოლებისა და კონტროლიორების უსაფრთხო მუშაობას. ასრულებდა სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს.

საინფორმაციო უზრუნველყოფის სპეციალისტი:

უზრუნველყოფდა მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო მხარდაჭერას. უზრუნველყოფდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზასთან კავშირს და ელექტრონული ბაზიდან გამოთხოვილი ინფორმაციის აღრიცხვასა და სტატისტიკას, აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ელექტრონულ კავშირს. პერმანენტულად აკონტროლებდა და პროგრამულად თვალყურს ადევნებდა კონტროლიორების „ანდროიდ პო“-ს ტერმინალით მუშაობის პროცეს, ელექტრონული საჯარიმო ოქმების სწორად შევსებასა და აღრიცხვას. აწარმოებდა ტრანსპორტის სააგენტოს, დაჯარიმებულ მგზავრთა ელექტრონულ ბაზაში საჯარიმო ოქმების აღრიცხვასა და სტატისტიკას. 2023 წლის ნოემბრიდან - 2023 წლის ოქტომბრის ჩათვლით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დაჯარიმებულია 631 უბილეთო მგზავრი, გადახდილია 403 საჯარიმო ოქმი, აღსრულების ეროვნულ ბიუროზე გადაგზავნილია 178 საჯარიმო ოქმი. 2023 წლის ნოემბრიდან - 2023 წლის აგვისტოს ჩათვლით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლით (აგვისტოდან აღნიშნული მუხლით მუშაობის უფლებამოსილება გადაეცა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ ინსპექციას), სამსახურის თანამშრომლების მიერ, დამრღვევი მძღოლების მიმართ შედგენილია 77 საჯარიმო ოქმი, გადახდილია 17 საჯარიმო ოქმი,

აღსრულების ეროვნულ ბიუროზე გადაგზავნილია 62 საჯარიმო ოქმი. გრაფიკის მიხედვით ხელმძღვანელობდა მძღოლების ყოველდღიურ სამედიცინო შემოწმებას. ასრულებდა სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს.

მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის კოორდინატორები:

გადაადგილდებოდნენ ყველა სამარშრუტო ხაზზე, აკონტროლებდნენ გრაფიკის მიხედვით დაგეგმილ, კონტროლიორების მუშაობის პროცესს. კონტროლიორის მიერ გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში სიტყვიერად აფრთხილებდნენ და აცნობებდნენ მონიტორინგის სამსახურს. მგზავრებთან კონფლიქტურ სიტუაციაში კონტროლიორებს უწევდნენ სწრაფ დახმარებას. მუშაობის დროს ავტობუსის გრაფიკის ცვლილების შემთხვევაში (ავტობუსის დაზიანება და სხვა) კონტროლიორებს ანაწილებდნენ თავისუფალ ხაზზე. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდნენ წესრიგს მუნიციპალურ ავტოტრანსპორტში, ავლენდნენ უბილეთო მგზავრებს, მათ მიმართ ადგენდნენ საჯარიმო ქვითრებს (ოქმს), საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლის თანახმად, ყურადღებას აქცევდნენ სანიტარულ და ჰიგიენურ მდგომარეობას ავტოტრანსპორტში. დარღვევების შემთხვევაში ინფორმაციას აწვდიდნენ სამსახურის ხელმძღვანელობას. ასრულებდნენ სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს.

მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის კონტროლიორები:

მუშაობდნენ გრაფიკის მიხედვით. კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდნენ წესრიგს მუნიციპალურ ავტოტრანსპორტში, ავლენდნენ უბილეთო მგზავრებს, მათ მიმართ ადგენდნენ საჯარიმო ქვითრებს (ოქმს), საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლის თანახმად, ყურადღებას აქცევდნენ სანიტარულ და ჰიგიენურ მდგომარეობას ავტოტრანსპორტში. დარღვევების შემთხვევაში ინფორმაციას აწვდიდნენ სამსახურის ხელმძღვანელობას. სამუშაო გამოცდილების მქონე კონტროლიორები უტარებდნენ ტრენინგს სტაჟიორკონტროლიორის პოზიციაზე მიღებულ ახალ თანამშრომლებს. ასრულებდნენ სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს. მონიტორინგისა და მგზავრთა უსაფრთხოების სამსახურის ექთანები: გრაფიკის მიხედვით უზრუნველყოფდნენ მძღოლების სამედიცინო შემოწმებას, ავტოსატრანსპორტო ხაზზე გასვლამდე, უზრუნველყოფდნენ სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას, საექთნო დოკუმენტ წარმოებას, საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებდნენ სხვა და სხვა დავალებას. შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი(2023 წელი) გეგმის მიხედვით, სააგენტოს თანამშრომლებს ჩაუტარეს ტრენინგი: პირველადი სამედიცინო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი, ეპიდემიის-პანდემიის პერიოდში ღონისძიებების გატარების ინსტრუქცია. ასრულებდნენ სამსახურის უფროსის მითითებებსა და დავალებებს.

გორის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ი „ტრანსპორტის სააგენტოს“

დირქტორი ზ.ჯირკველიშვილი